www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2012 წელი. | №3095 (188) | ფასი 50 თეთრი

ეუთო - მთავარი დამკვირვებელი არჩევნებზე

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, მესამე დღეა, საქართველოში წინასაარჩევნო პოლიტიკურ ვითარებას სწავლობს. საპარლამენტო ასამბლეის ახლადარჩეული პრეზიდენტი რიკარდო მილიორი, ვიცე-პრეზიდენტი ტონინო პიცულა, გენერალური მდივანი და დელეგაციის სხვა წევრები გუშინ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებები დღესაც გაგრძელდება, დღის ბოლოს კი ეუთო-ს დელეგაცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდება.

მაგდა ლეკიაშვილი

მმართველი გუნდის წევრები ამბობენ, რომ ეუთო-ს დელეგაციის ვიზიტი წინასაარჩევნო სამზადისს უკავშირდება. ორგანიზაციამ საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად 400-მდე მოკლევადიანი დამკვირვებელი უნდა გამოგზავნოს. ამასთან, არჩევნების შემდგომ პერიოდს ეუთო-ს რამდენიმე ათეული გრძელვადიანი მისია დააკვირდება. მანამდე ეუთო-ს მაღალჩინოსნები საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას ადევნებენ თვალყურს და გასულ წელს მიღებული საარჩევნო კოდექსის იმპლემენტაციას აკვირდებიან. მისიის წევრებს ჯერჯერობით ჟურნალისტებთან საკუთარი მოსაზრება არ დაუფიქსირებიათ. თუმცა ვიზიტის დასრულების შემდეგ ისინი შუალედური დასკვნის სახით დოკუმენტს წარადგენენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში

მარი ახსიაშვილი

20 აგვისტოს ძლიერმა ქარმა და სეტყვამ კახეთი ისევ დააზარალა. სტიქიის შედეგად, რეგიონში სახურავის გარეშე 835 სახლი დარჩა. კახეთის გუბარნატორის მოადგილის გიორგი სიბაშვილის განცხადებით, ლაგოდეხში სახურავი დაზიანებული აქვს 470 სახლს, გურჯაანში - 317 კერძო სახლს და 8 კორპუსს, ყვარელსა და საგარეჯოში - 10-10 სახლს.

"ყველა სახლი შესწავლილია, მიმდინარეობს მათი ე.წ ტენტებით მომარაგება. ბრიგადები, რომლებიც თელავში მუშაობდნენ, გადავიყვანეთ სტიქიის ზონაში," - აღნიშნა სიბაშვილმა და დასძინა, რომ 20 აგვისტოს სტიქიის შედეგად ყველაზე მეტი სახლი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში დაზიანდა.

სტიქიის გამო, კახეთში 37 ათას აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება. კახეთის ენერგოდისტრიბუციის კომპანიის ინფორმაციით, გათიშულია 47 ფიდერი. ელექტროენერგიის გარეშე დარჩა გურჯაანის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონები.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, კახეთის ენერგოდისტრიბუციის სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, რათა დაზიანებები უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრას და მოსახლეობას ელექტრომომარაგება აღუდგეს.

სტიქიიდან რამდენიმე საათში პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მინისტრებსა და გამგებლებს კახეთში სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად დავალებები მისცა. ვანო მერაბიშვილმა კახეთში მთავრობის საგანგებო სხდომა ჩაატარა. პრემიერის განცხადებით, სალიკვიდაციო შტაბი გურჯაანის გამგეობაში იქნება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ხამოვნიკის სასამართლოს განაჩენი - ფარსი

ხათუნა გაბიევი

პანკი გოგონების სასამართლო ფარსი იყო - ასეთია მსოფლიო მედიის შეფასება იმ მოვლენებზე, რაც ხამოვნიკის რაიონში სასამართლო დარბაზსა და მის შემოგარენში განვითარდა. "პანკმოლებნის" ავტორებს რუსულმა მართლმსაჯულებამ ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რასაც მეორე დღესვე გამოეხმაურა მსოფლიო დონის ვარსკვლავი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ტერაქტი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აფეთქების შედეგად დაიღუპა, სულ ცოტა, რვა და დაშავდა ათობით ადამიანი. ამის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებმა გაავრცელეს.

დანაღმული ავტომობილი ააფეთქეს პოლიციის განყოფილების გვერდით, ქალაქ გაზიანტეპში, რომელიც მდებარეობს სირიის საზღვართან ახლოს. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების შედეგად დაღუპულებს შორის პოლიციელებიც არიან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6446₾
1 ევრო	2.0331₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5817₾
1 თურქული ლირა	0.9143₾
100 რუსული რუბლი	5.1641₾

თბილისი	31°C - 18°C
ქუთაისი	27°C - 17°C
თელავი	29°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 16°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.10	+0.00	+0.12%
გაზი	2.75	+0.04	+1.27%
ოქრო	1,622.80	+5.50	+0.34%
ხორბალი	901.50	+7.00	+0.78%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ადრე ასე ვერ ვიგებდით

გ3.6

ზაზა ფაჩულია ბოლო მეოთხედში არარეალურად კარგი იყო

ღამის სერენადები იწყება

სოფიო ნემსაძე

IV საერთაშორისო ფესტივალი "ღამის სერენადები" წელს 25-დან 28 აგვისტოს ჩათვლით აჭარაში, გონიოს ისტორიული ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ ჩატარდება. ფესტივალის დამფუძნებელი, ბათუმის მერიასთან ერთად, მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი, გამოჩენილი ქართველი მევიოლინე და დირიჟორი ქალბატონი ლიანა ისაკაძეა. ქალბატონ ლიანასთან ერთად ფესტივალში უკვე მეორედ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ანსამბლ-ორკესტრი "ფეისბუქის ვირტუოზები", ასევე მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი ემანუელ ლედიუკ-ბარომი (საფრანგეთი), ანდრეი გავრილოვი (შვეიცარია), ივან მონიგეტი (შვეიცარია), იური ჟისლინი (ინგლისი), ალისა მარგულისი (გერმანია), დევიდ ბარნეტი (აშშ) და სხვა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

"მცხეთის სამხედრო ბაზაზე რიგითი გაბიტაშვილი გარდაიცვალა

მცხეთის სამხედრო ბაზაზე რიგითი ჯაბა გაბიტაშვილი გარდაიცვალა. ჯარისკაცი მშობლიურ სოფელ ვეჯინში გადაასვენეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო რიგითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოფიციალურ წერილს ავრცელებს, მწუხარებას გამოთქვამს გაბიტაშვილის გარდაცვალების გამო და გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

"მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას სამხედრო პოლიცია აწარმოებს. ამ ეტაპზე ერთ-ერთ ვერსიად თვითმკვლელობა განიხილება. შესწავლილი და შემოწმებული იქნება უბედური შეთხვევის ყველა გარემოება და დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისათვის გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს," - ნათქვამია განცხადებაში.

ლუის ნავარო "ქართული ოცნების" წევრებს შეხვდა

საქართველოში NDI-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლუის ნავარო ფოთში "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატ ეკა ბესელიას და შტაბის სხვა წევრებს შეხვდა. მათ წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრეს. ნავარომ მოისმინა ინფორმაცია წინასაარჩევნო ვითარების შესახებ. სამუშაო შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

ნავარომ ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა. ეკა ბესელიას თქმით კი, "შეხვედრის დიდი ნაწილი NDI-ის ივლისის კვლევის შედეგებს დაეთმო."

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი
სს „კავკასრეესტრი"
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
მომსახურების საფასური 17 ლარიდან.
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

პრესტიჟული

ფარსის დაბადება

ნოდარ ლადარია

არ მიყვარს მუსიკა, რომლის შესასრულებლად აუცილებელია ცვლადი დენის ქსელი. ეს კიდევ არაფერი, მთავარი ისაა, რომ ამგვარი მუსიკა არ თანამშრომლობს სიჩუმესთან, უბრალოდ, სპობს მას. დედამიწის ზურგზე მარტონი რომც დარჩენენ, შეყვარებულები მაინც ჩურჩულით ისაუბრებენ — მარკეტინგის რომელიმე გენიოსი ამას ვერც ახსნის და ვერც ვერაფერს მოუხერხებს. მაგრამ არსებობენ ისინი, და მათი სახელი ლეგიონია, ვისაც შვილებზე მეტად "ოჯახი" უყვარს, ღმერთზე მეტად — რიტუალი, თავისუფლებაზე მეტად — იერარქია, ადამიანზე მეტად — იდეა, იდეაზე მეტად — პარტია, გამორჩეულობაზე მეტად — ერთიანობა. სიმრავლის გამო, სწორედ ესენი აღმოჩნდებიან ხოლმე ყურადღების ცენტრში და მათ დასაშუმშინებლად იქმნება მუსიკა, რომლისთვისაც ბრბოს ღრიანცელი, სტვენა და "ექსტაზით" სტიმულირებული კუნთების კონვულსიები დაბრკოლება კი არ არის, მშობლიური სტიქიაა.

მაინცდამაინც ვერც ამგვარად გამოხატული პროტესტი აღწევს ჩემს გულამდე: ვერაფრით ვერ ვდევნი აზრს, რომ სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებენ ისინი, ვინც ჭიპზე გასკდა ისეთი აპარატურის საშოვნად, რომელმაც ამავე სისტემის დადგენილი წესებით მოიპოვა გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი. იმედია, უკვე აღარავინაა იმდენად გულუბრყვილო, სჯეროდეს, თითქოს ეგრეთ წოდებული "ხარისხი" ერთადერთი არგუმენტია საბაზრო წარმატებისათვის.

შესაძლოა, ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს წინა ორი აბზაცი; შესაძლოა, ვინმე საკმაოდ გონიერიც აღმოჩნდეს ჩემი რეტროგრადული წუწუნის გასაქარწყლებლად, მაგრამ მე არავის ვაძალებ ჩემს ყავლგასულ გემოვნებას. ისიც ვიცი, რომ მუსიკოსებს წარსულშიც იმ ჰერცოგის კარზე მიუწევდათ გული, სადაც სტრადივარის ან გვარნერის ნახელავი კომპლექტი ეგულებოდათ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც ადვილად ვერ მოერევი: ის, რომ თუ ოდესღაც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მოცარტის "ფიგაროს ქორწინება" მიიჩნიეს პოლიტიკური თვალსაზრისით სახიფათო მუსიკად, დღევანდელ რუსეთში მსგავსი კვალიფიკაცია და შესაბამისად მნიშვნელობა მიენიჭა უგვანო კუპლეტებს: "Богородице, Дево, Путина прогони!".

ამ ორ პროდუქტს შორის დროითი განსხვავება დაახლოებით ტოლფასია ორ კულტურულ სამყაროს შორის არსებული ევოლუციური უფსკრულისა, ხოლო ხარისხობრივი შეუთავსებლობა კიდევ უფრო მეტი სიზუსტითა და სიმწარით ასახავს იმას, თუ რაოდენ შეუფერებელია ადამიანის ღირსეული არსებობისათვის ის ისტორიული და იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიდანაც ამ ორი საზოგადოებიდან ერთ-ერთი ამოიზარდა. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომელ საზოგადოებასაც ვგულისხმობ...

რა თქმა უნდა, მთელი ეს მსჯელობა მხოლოდ მეტაფორაა, მხოლოდ არც თუ ისე ნატიფი ხერხია ერთი სრულიად აშკარა დასკვნის გამოსატანად: პუტინი და მის მიერ აწყობილი სისტემა არ შეადგენს საქმის არსს. არსი უფრო ღრმადაა, გათამაშებულ მოქმედებაში კი დადებითი გმირები არ არსებობენ.

ვაღიარებ, რომ ტაძარში იმ დროს მყოფთა რელიგიური გრძნობები ყურადღების ღირსად არ მიმაჩნია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანები, რომლებიც ოდესღაც მოწამეობასა და აღმსარებლობას მიელტვოდნენ, ახლა გაქსუებული აიათოლებივით რელიგიურ გრძნობებს მისტირიან, არამედ იმიტომაც, რომ თუ შენს რელიგიურ გრძნობებზე ზრუნავს ის, ვინაც ღატაკი და უსიხარულო ცხოვრებისთვის გაგიმეტა, მაშინ ყოველგვარი შეურაცხყოფა დაგიმსახურებია — ძალადაკარგული და გადასაგდებად გამზადებული მარილი ხარ.

არც მოხულიგნო მომღერლები მგონია დიდი ბედენა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ყოფილი პანკები სასამართლო პროცესის დროს თავიანთი მოტივების ლამის ღრმა ქრისტიანულობაზე ლაპარაკობდნენ და არსებითად იმ ყოფილ "კამსამოლკებთან" ახდენდნენ თავის იდენტიფიკაციას, რომელთაც რამდენიმე წამით მყუდროება დაურღვიეს. ამ ფონზე ბევრად უფრო გულწრფელად გამოიყურება კაცი, რომელიც მარტოკა დგას მაცხოვრის ტაძრის მახლობლად და გულზე ჰკიდია სლოგანი: "дагвиброунеет аубо!" — ანუ ის ცნობილი "ბასეინ მასკვა", რომლის ადგილზე აღადგინეს ოქროსგუმბათიანი კოლოსი.

აშკარად არაადეკვატური განაჩენიც არ იწვევს ჩემში დიდ აღშფოთებას. არა, იმიტომ არა, რომ, საზოგადოდ, უსამართლობის მიმართ გულგრილი ვარ, არამედ იმიტომ, რომ სტიქიის წინაშე აღშფოთება ამაოა: როცა წვიმას აპირებს, ურიგო არ იქნება, თუ ქოლგასაც წაიყოლებ. იმ ქვეყნისთვის კი ციხეში თავის ამოყოფა სტიქიური მოვლენაა — რუსულ ანდაზას, რომლის თანახმად სატუსაღო და მათხოვრის ჩანთა, რაც არ უნდა ეცადოს კაცი, ყველასათვის თანაბარი საფრთხეა, ჯერაც არ ღირსებია ლექსიკონებში სანუგეშო აბრევიატურა "ძვ." ან "მოძვ.". თანამედროვე მწერალი, ვიქტორ პელევინი ერთგან აღნიშნავს, რომ რუსისათვის ჰომოფობია ციხეში სავარაუდო მოხვედრისას დისკომფორტის შესამცირებელი ხერხია: ყველამ იცის, რომ არაფრისაგან გარანტირებული არ არის, ამიტომაც წინასწარ კიცხავს ჰომოსექსუალებს, რადგან ჰგონია, რომ, ამის წყალობით, "პეტუხად" არ ჩათვლიან. ადრინდელი მწერლებიც არ აკლებდნენ ხელს მშობლიური საზოგადოებრივი ამინდის ამ ჩვეულ მოვლენას: შთაგონებული კალმით ხოტბას ასხამდნენ "მკვდარ სახლებში" გამომწყვდეულთა "მაღალ ზნეობას", "ფსკერზე" მცხოვრებთა სულიერ სამყაროს, ამის რეალური შედეგი კი მხოლოდ კუკავას პარტიის წინასაარჩევნო დაპირებაა: "გავათავისუფლებთ თხუთმეტი ათას უკანონო პატიმარს".

ციხე რუსული კულტურისა და ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო სიმბოლოა, ლოკალურ რელიგიურობასთან შეზრდილი: პირველი საპატიმროები, ეგრეთ წოდებული "ოსტროგები", მონასტრებთან გაჩნდა და მათი პირველი მობინადრენიც დამნაშავე ბერ-მონაზვნები იყვნენ. აქედანვე მოდის ყბადაღებული "მკაცრი რეჟიმი": ქრისტესმიერ ძმებს ზამთრობით სუსხში ამყოფებდნენ, ზაფხულობით კი ნაძვისა და ფიჭვის ნედლი ტოტების კვამლს ასუნთქებდნენ. ამ პირობებში ვისა აქვს მორალური უფლება, გაამტყუნოს მილიონობით მოქალაქე, ვინც დილის "ნიუსების" გაგონებისას მშვიდად ჩაილაპარაკებს — знали, на что шли და ლამის ჩვენი "გენაცვალესავით" მყარი ამ ლექსიკური ფორმულით დაიმშვიდებს სინდისის დუნე წუხილს. რეალობისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმდენადვე ორგანულია, რამდენადაც ესკიმოსისთვის ირმის უმი ღვიძლის ჭამა. როგორ უნდა ვუსაყვედუროთ ადამიანებს, როცა სხვა გზა არა აქვთ — ერთს დეპრესიისგან, მეორეს კი სურავანდისგან თავის გადასარჩენად.

და მაინც ძალიან მაშფოთებს ეს ყველაფერი. იმიტომ კი არა, რომ რაღაც დიდი უბედურება და უსამართლობა მოხდა — დედამიწის ზურგზე ყოველდღე ბევრად უარესი ამბები ხდება და არც ჩვენს საკუთარ სახლში არის საქმე მთლად კარგად. სწორედ ამ ბოლო მიზეზის გამო მაშფოთებს "პუსი რაიოტის" ფარსი, რადგან ჩვენთვის ეს რიგითი უსამართლობა სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ხოლო მის გამო აღშფოთებულთა სიმრავლე იმედს მაძლევს, რომ ადამიანები მცირედ მაინც უახლოვდებიან მართლაც არსებით არჩევანს ზემოთ ნახსენებ ორ კულტურულ სამყაროს შორის. ერთმა ჯონ ლენონი შეირგო, მეორეს "პუსი რაიოტი" ყელზე დაადგა — რომელი ჯობია?

მაგრამ ფარსში მაინც აღმოვაჩინე ტრაგედია... ეს ტრაგედია რუსეთისა არ არის. ჩვენია.

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ერთ შეკითხვას წავაწყდი: რა იქნებოდა, ჩვენთან რომ მომხდარიყო მსგავსი მოვლენა? რითი დამთავრდებოდა? ხალხი იმაზე კამათობდა, ჩასვამდნენ თუ არა ციხეში... არ უარვყოფ, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია, ვიტყვი კიდეც, რომ, ჩემი აზრით, ერთთვიან ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებდნენ უარეს შემთხვევაში.

ეს შეკითხვა პრინციპულად აბსტრაქტულია, რადგან ეკვივალენტური სოციალური პროტესტი საქართველოში ძნელი წარმოსადგენია — მთავრობის გაგდების მოწოდებას აქ თვით იერარქიის საგრძნობი ნაწილი ქადაგებს ამბიონიდან. ტრაგიკულობა სხვაა:

ქართველი სოციალური აქტივისტებიდან, ანუ იმათგან, ვისაც "ჯიგარი" ეყოფა რაიმე სოციალურად მწვავე თემაზე "პანკ-პარაკლისის" შესასრულებლად, რამდენს იპოვი, ვინც დალაგებულად და სწორი ინტონაციით იტყვის, ან თუნდაც წაიკითხავს ადვოკატის შედგენილ სიტყვას? ან რამდენ ადვოკატს იპოვი, ვინც მეტ-ნაკლებად რაციონალურად ააგებს დაცვის თუნდაც წარუმატებელ ხაზს და იმის ტოლფას სიტყვებს დაწერს, რომლებიც განაჩენის გამოცხადების წინ წარმოთქვეს "პუსი რაიოტის" თუმც კი მხნედ მომღიმარმა, მაგრამ, კარგა ხანია, მორალურად გატეხილმა გოგოებმა?

"ქარტია 2010"-ის განცხადება

"ქარტია 2010" ეხმაურება ქართულ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებულ ცნობას, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ თბილისის ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად დასახელებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი.

"ქარტია 2010" მიესალმება ნაციონალური მოძრაობის ამ გადაწყვეტილებას. მიგვაჩნია, რომ გიორგი კარბელაშვილი თავისი წარმატებული საქმიანობით საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში და ასევე მისი სამაგალითო მოქმედებით სომალელ მეკობრეთა ტყვეობაში მყოფი ქართველი მეზღვაურების განთავისუფლების ურთულეს ოპერაციაში, რომელსაც ჩვენ დიდ ყურადღებით და მღელვარებით ვადევნებდით თვალს, იმსახურებს ქართველი ამომრჩევლის ნდობას და პატივისცემას.

თავის მხარდაჭერას გიორგი კარბელაშვილის მიმართ "ქარტია 2010" მომავალშიც აქტიურად გამოთქვამს.

"ქარტია 2010"-ის გამგეობა:
ვიქტორ დომუხოვსკი, პოლონეთი
მაია სიმონია, ფინეთი
რენო სირაძე, ფინეთი
მედეა თუშმალიშვილი, საფრანგეთი
რევაზ ბოჭორიშვილი, საფრანგეთი
დოდონა კიზირია, აშშ,
ირაკლი ხიზანიშვილი, აშშ
ჩარლზ ჩხოტუა ესპანეთი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ეუთო - მთავარი დამკვირვებელი არჩევნებზე

პირველი გვერდიდან

"ესაა მოსამზადებელი ეტაპი იმისთვის, რომ, არჩევნების მოახლეობასთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდეს საკმაოდ დიდი მისია. ეუთო არის, პრაქტიკულად, ერთ-ერთი მთავარი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე," - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა.

უმრავლესობის შემდეგ ეუთო-ს მისია პირისპირ შეხვდა "ქართულ ოცნებას". როგორც კოალიციის პრეს-სპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ეუთო-ს სურდა გაცნობოდა იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც შექმნილია საქართველოში. ასევე დელეგაციის წევრებმა მოისმინეს "მთავარი ოპოზიციური ძალის აზრი იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა არჩევნებამდე 40 დღით ადრე". ფანჯიკიძის თქმით, კოალიციის წევრებმა დეტალურად ისაუბრეს ყველა იმ ფაქტის შესახებ, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოსვლას მოჰყვა.

"მივაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია არა მხოლოდ ზეპირად, არამედ გავატანეთ დეკუმენტებიც, როემლიც ასახავს ქართული ოცნების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებს," - ამბობს მაია ფანჯიკიძე.

კოალიციის კიდევ ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი აღნიშნავს, რომ ეუთო-ს დელეგაციის წარმომადგენლები არიან ადამიანები, რომლებიც მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის უშუალო ხელმძღვანელები იქნებიან. აქედან გამომდინარე, მათი შეკითხვები საარჩევნო გარემოს და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ეხებოდა.

უსუფაშვილის თქმით, მხარეებმა ისაუბრეს იმაზე, თუ პოლიტიკური ცხოვრების განვითარების რა ვერსიები და სცენარები არსებობს საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.

"ვუთხარი: კოალიცია "ქართულ ოცნება" გეგმავს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას, აგრეთვე, იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქვეყანაში მოვლენები განვითარდეს მშვიდად, არ გამოვიდეს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და მიხეილ სააკაშვილის გუნდის უპასუხისმგებლო ქმედებებს არ მოჰყვეს პოლიტიკური გართულებები," - ამბობს დავით უსუფაშვილი. მისივე თქმით, მის პოლიტიკურ გუნდს არ სურს, ძალა და ენერგია გაყალბებულ არჩევნებთან გამკლავებას მოახმაროს. უსუფაშვილის განცხადებით, "ქართულ ოცნებას" უნდა, რომ არჩევნები იყოს სამართლიანი და თავისუფალი. კოალიცია უეთო-ს და ყველა სხვა სადამკვირვებლო მისიას განიხილავს, როგორც სერიოზულ ბერკეტს არჩევნების გაყალბების პრევენციისთვის.

ეუთო-ს დელეგაცია გუშინ, საღამოსვე, შეხვდა უწყებათაშორისი კომისიის წევრებს, თუმცა ეს შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო. კომენტარები პოლიტიკოსებს არც შეხვედრის დასრულების შემდეგ გაუკეთებიათ.

სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში

პირველი გვერდიდან

"პრეზიდენტის დავალებით მე მინდა ვთხოვო ლევან ბეჟაშვილს, კოორდინაცია გაუწიოს ყველა სამინისტროს და ყველა ადგილობრივი ორგანოს საქმიანობას. ჩვენ უკვე გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა და ამ გამოცდილების შესაბამისად უნდა ვიმუშაოთ. თავდაცვის მინისტრმა უკვე გასცა განკარგულება და დილიდან თავდაცვის სამინისტროს ძალები წაქცეული ხეებისგან წმენდენ ჩახერგილ გზებს," - განაცხადა მერაბიშვილმა და აღნიშნა, რომ ელექტროენერგია მთელ კახეთში მაქსიმუმ ორ დღეში აღდგება. დაზიანებულ სახურავებს კი ის ბრიგადები შეაკეთებენ, რომელთაც თელავში სამუშაოები დაასრულეს.

"სადაც ვენახი და ხეხილი დაზიანდა, ამაზე კომისია იმუშავებს და ჩამოვყალიბდებით, როგორი ტიპის დახმარებას მივცემთ, რომ მდგომარეობა შევუმსუბუქოთ. კომპენსაციების საკითხი ჭიაბერაშვილის სამინისტროს მეშვეობით განხორციელდება," - დასძინა მერაბიშვილმა.

სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებას უკვე დაჰპირდა ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი. მან საგარეჯოს რაიონის სოფლებში - ბადიაური, ყანდაურა, კაკაბეთი და ვერხვიანი - დასეტყვილი ვენახები მოინახულა.

"ადგილზე გავეცანით, თუ რა ზიანი მიადგა საგარეჯოს რაიონის რამდენიმე სოფელს. გვინდა დავინახოთ, რა ტიპის დახმარება დასჭირდება თითოეულ მოსახლეს. ჩვენი მთავარი ამოცანა მათი დახმარებაა, რომ არ დაკარგონ იმედი. ჩვენს ხალხს აუცილებლად დავეხმარებით," - განაცხადა მინისტრმა მოსახლეობასთან შეხვედრისას.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიის ზონაში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ზარალის შემსწავლელი სპეციალური შტაბი დაზარალებულ მოსახლეობას დაარეგისტრირებს.

გუშინ კახეთში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც შეხვდა. მან სოფლები - კაკაბეთი, ჩუმლაყი და ლელიანი მოინახულა. მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო გეგმა გააცნო.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანა ახლა ხალხის გასაჭირიდან გამოყვანა და მათთვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენაა.

საქართველოს პრეზიდენტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის სხდომაც მოიწვია და ხელისუფლების წარმომადგენლებს შესაბამისი დავალებებიც მისცა.

სააკაშვილმა მათთან რთველის საკითხიც განიხილა და აღნიშნა, რომ ქარხნებს მოსახლეობისგან ყურძნის ჩაბარების განკარგულება უკვე მიღებული აქვთ. პრეზიდენტის თქმით, სტიქიის მიუხედავად, წელს სანიმუშო რთველი უნდა გაიმართოს.

კახეთის სტიქიას გუშინ «ქართული ოცნების» ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ის მზად არის, კახეთში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად თანხა კიდევ გადარიცხოს. თუმცა ბიზნესმენ-პოლიტიკოსი სანაცვლოდ ერთ პირობას აყენებს. ივანიშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება უკვე გადარიცხული 80 მილიონის ხარჯვის მიზნობრიობას წარმოადგენს და დაასაბუთებს, რომ ეს თანხა საკმარისი არ იყო, მზად არის, კახი კალაძესთან ერთად, კიდევ გადარიცხოს თანხა, რომელსაც "ხელისუფლება ჯარიმების სახით მარტივად გამონახავს."

კახეთის რეგიონს მორიგი სტიქია დაატყდა თავს, რომლის ეპიცენტრიც სოფელ ჩუმლაყში იყო. მძიმე მდგომარეობაა გურჯაანში, ბევრი რაიონი დაისეტყვა. საგარეჯოში 50%-მდე მოსავალია განადგურებული, ძალიან ცუდია, რომ ამ გაჭირვებულ ჟამს ბუნებაც განსაცდელს გვიმზადებს. ისედაც გაჭირვებული ჩვენი მოსახლეობა ამ განსაცდელსაც უპირისპირდება. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით მათ დავეხმაროთ, მაგრამ კანონიერი დახმარების საშუალება არ გვაქვს. ის ირიბი გზა, რაც 80 მილიონის გადარიცხვის სახით გამოვნახე, ამ ხალხის სასარგებლოდ გამოყენებული არ არის. კეთილი ინებონ და ხალხს აუნაზღაურონ დანაკლისი, არა მოგონილი თანხებით, არამედ - ზარალის შესაბამისად," - განაცხადა ივანიშვილმა.

20 აგვისტოს ძლიერი წვიმა და სეტყვა იყო რუსთავშიც. ამ დროისათვის, დაზიანებული წყლის მილები და ელექტროენერგიის სადენები უკვე შეკეთებულია და მოსახლეობას დენიც და წყალიც მიეწოდება. როგორც News.ge-ს რუსთავის მერიაში განუცხადეს, მთელი ღამის მანძილზე მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები. რუსთავში გზები უკვე თავისუფალია და გადაადგილება შეზღუდული არ არის.

რუსთავის მე-7 ა მიკრორაიონში ძლიერმა ქარმა ერთ-ერთ კორპუსს სახურავი მოხადა და მეორე კორპუსის მინები დააზიანა. მიმდინარეობს გადახურვითი სამუშაოები. მერია მინებით ამარაგებს იმ ოჯახებსაც, რომლებსაც სტიქიამ შუშები ჩაუმტვრია, - აცხადებენ რუსთავის მერიაში.

გარდა ამისა, გუშინ თბილისის მერიაში საგანგებო სხდომა გაიმართა და გადაწყდა, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან 19 აგვისტოს დედაქალაქში მოსული უხვი ნალექისა და სეტყვის გამო, დაზარალებულთათვის 2 მილიონ ლარამდე გამოიყოფა.

"ზარალი მიადგა დიდგორის რაიონში მდებარე სოფლებს (კოჯორი, კიკეთი, დიდება, წავკისი, ტაბახმელა, შინდისი) და ისანი-სამგორის რაიონს (მათ შორის შემოერთებულ ტერიტორიებსაც). დაზიანდა სახლის სახურავები, ავტომობილები, სასათბურე მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სავარგულები. თბილისის მერიის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ ზარალის დათვლას და თითოეული ოჯახის მდგომარეობის ადგილზე შესწავლას, - ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ დიდგორის რაიონში აღწერილია 203, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში - 163 დაზარალებული ოჯახი.

"წინასწარი მონაცემებით, ზარალის რაოდენობა ზუსტდება და ის დაახლოებით 2 000 000-მდე ლარს შეადგენს. თბილისის მერის გიგი უგულავას გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხა გამოიყოფა მერის სარეზერვო ფონდიდან, რათა უახლოეს მომავალში დაიწყოს დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება. მოხდება თითოეული დაზიანებული სახლის აღდგენა და ასევე ყველა ის ოჯახი, რომელსაც სტიქიის შედეგად, სოფლის მეურნეობის სავარგულები დაუზიანდა, შესაბამის კომპენსაციას მიიღებს,"- ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

სინოპტიკოსები აღმოსავლეთ საქართველოში 29 აგვისტოს ჩათვლით ძლიერ წვიმებს არ პროგნოზირებენ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ცნობით, კახეთში მცირე, ხანმოკლე წვიმა მხოლოდ 24 აგვისტოს ღამისა და დილის საათებშია მოსალოდნელი. 23 აგვისტოდან გამოიდარებს დასავლეთ საქართველოშიც. დღეს კი იქაც წვიმაა მოსალოდნელი.

"ქართული ოცნება" "შვიდიანის" დაბრუნებას სასამართლოში მოითხოვს

"ქართულ ოცნებაში" საარჩევნო ნომრის შეცვლით გამოწვეული ზარალი ჯერ არ დაუთვლიათ. კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნებისთვის" საარჩევნო ნომრად 7-ის გამოყენებაზე უარი ხელისუფლების აგონიაზე მიუთითებს.

"ძალიან გაჭირვებულები არიან. ოღონდ როგორმე რამით დაგვაზიანონ, ყველაფერს აკეთებენ. ეს ნომრის მონიჭებაც სასაცილო იყო და ამას კანონთან კავშირი არა აქვს. ისინი შედეგს მაინც ვერ მიიღებენ, რადგან სწორი სვლები არ აქვთ. ერთადერთი სწორი სვლა სააკაშვილის გადადგომა იქნება. მან ბოდიში უნდა მოიხადოს ამდენ კანონდარღვევაზე და ქვეყანას საშუალება მისცეს, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. თუ არ გადადგება, მოახერხოს და კანონიერების ჩარჩოში დაბრუნდეს," - განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ საარჩევნო ნომერი ბევრს არაფერს შეცვლის და "ქართულმა ოცნებამ" არჩევნებში მონაწილეობა რა ნომრითაც არ უნდა მიიღოს, შედეგი მაინც იგივე იქნება.

«რაც შეეხება ფინანსურ ზარალს, ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ანგარიშებზე განხორციელებულია ინკასო და ფინანსური პრობლემა გვაქვს. უკვე დაბეჭდილი გვქონდა ფლაერები, ბევრი სარეკლამო საშუალება, ახლა კი ყველაფერი გადასაყრელი იქნება, თუმცა მინდა, მოსახლეობას მივმართო, რომ არა უშავს, ამასაც გადავიტანთ და 41 ნომრითაც მივიღებთ ისეთსავე შედეგს, როგორიც უნდა მიგვეღო", - დასძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, "ქართულ ოცნებას" საარჩევნო ნომერთან დაკავშირებით საჩივარი შეაქვს და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან.

"ახალი ნომერი რომ ავაგოროთ, შესაძლოა, ისევ უკან დაგვიბრუნონ. მათ ასეთი ფოკუსების ჩატარება სჩვევიათ. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პაუზას ავიღებთ," - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

პარლამენტის ვიცესპიკერი გიგი წერეთელი "ქართულ ოცნებას" ურჩევს, ცესკო-ს მიერ საარჩევნო ნომრად 41-ის მინიჭების მიზეზი საკუთარ თავში ეძებოს.

"დარწმუნებული ვარ, საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც კოალიციას სურდა, შეიძლებოდა, "ქართული ოცნება" რომ ისე მოქცეულიყო, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს. თუ ეს მომენტი ხელიდან გაუშვეს და არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, ნურავის დააბრალებენ," - განუცხადა გიგი წერეთელმა ჟურნალისტებს.

მისივე განმარტებით, ცესკო-მ საარჩევნო ნომრად, 7-ის ნაცვლად, 41-ის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება კანონიერად მიიღო და თუ მას კოალიცია არ ეთანხმება, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს.

"ქართული ოცნება" 29 სექტემბერს მანიფესტაციას გამართავს

საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" 29 სექტემბერს მანიფესტაციას გამართავს. "შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ბლოკმა თბილისის მერიაში გაფრთხილების განცხადება შეიტანა.

"ქართული ოცნების" პრესსამსახურის ცნობით, 14:00 საათიდან 23:00 საათამდე თბილისში რამდენიმე ადგილას მანიფესტაცია მოეწყობა და დღის ბოლოს აქცია გაიმართება.

"ქართული ოცნების" აქტივისტები და ლიდერები სხვადასხვა ადგილიდან თავისუფლების მოედანზე შეიკრიბებიან.

გატაცებული ბექა ჭაავა გაათავისუფლეს

გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან გატაცებული 9 წლის ბექა ჭაავა გამტაცებლებმა გამოსასყიდის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სამეგრელოსა და ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის წარმომადგენელის თორნიკე კილანავას განცხადებით, ბავშვი ოჯახში იმყოფება და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მისივე თქმით, ბექა ჭაავას ფიზიკური ტრამვები არ აღენიშნება, თუმცა ფსიქოლოგიური სტრესის გამო ექიმების მეთვალყურეობას საჭიროებს. კილანავასთვის გამოსასყიდი თანხის ოდენობა უცნობია.

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებიდან 9 წლის ბექა ჭაავა 14 აგვისტოს ხუთმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა გაიტაცა. ბავშვი სახლში მარტო იმყოფებოდა.

ობამამ სირიას წითელი ხაზი "გაუვლო"

ივა შილაკაძე

სირიაში სამოქალაქო ომი "ჩვეულ რეჟიმში" მიმდინარეობს. კვლავ იღუპება ხალხი და ძალადობაც მატულობს. "სირიის თავისუფალმა არმიამ" მეტ-ნაკლებად მოაგვარა იარაღით მომარაგების საქმე, უმთავრესად - ლიბიის დახმარების წყალობით. ალჟირელმა დიპლომატმა ლაჰდარ ბრაჰიმიმ, რომელმაც წინა კვირაში შეცვალა სირიაში გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ერთობლივი საგანგებო წარმომადგენელი კოფი ანანი, განაცხადა, რომ მან ჯერ არ იცის, თუ რა საშუალებით შეიძლება მოგვარდეს კონფლიქტი სირიაში. გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ან ამის რეალური საფრთხის შემთხვევაში აშშ-მ შეიძლება გადახედოს თავის პოზიციას და კონფლიქტში სამხედრო ჩარევის გადაწყვეტილება მიიღოს. ალეპოში კი დაიღუპა ცნობილი იაპონელი ჟურნალისტი მიკა იამამოტო. ის დაბომბვის მსხვერპლი გახდა. მედიის კიდევ სამი წარმომადგენელი დაკარგულად მიიჩნევა.

ბრძოლა პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიმართ ლოიალურ არმიასა და "სირიის თავისუფალ არმიას" შორის ერთდროულად რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს, თუმცა ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მაინც ალეპოშია. იქ ორშაბათს ამოიწურა ამბოხებულებისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადა და სამთავრობო არმიამ დაბომბვა განაახლა. ჰაერიდან უტევენ რაიონებს სულეიმანიას, ბუსტან ელ-ბაშას და ბუსტან ელ-კასრს. ხელისუფლებამ რამდენიმეკვირიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ მხოლოდ ალეპოს ნაწილის დაკავება მოახერხა. ისინი რეალურად აკონტროლებენ ქალაქის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებს, თუმცა ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში კვლავ ამბოხებულთა ძალებია თავმყრილი. სამთავრობო არმია ცდილობს, "სირიის თავისუფალ არმიას" გადაუკეტოს ზურგიდან მომარაგების საშუალება, ასევე აღკვეთოს დამხმარე ძალის ალეპოში შესვლა. ალეპო თურქეთიდან 45 კილომეტრით არის დაშორებული და ამ ზოლის გაკონტროლებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. თუმცა ჯერ ამას მთლიანად ვერც ოფიციალური შენაერთები ახერხებენ და ვერც არაოფიციალური.

ამბოხებულების პოზიციებს სირიის ხელისუფლება ბომბავს დერააშიც და დამასკოს გარეუბნებშიც. ბრძოლებია ჰომსშიც, ჰამაშიც და დეირ აზ-ზორშიც. დამასკოს გარეუბანში ამბოხებულებმა შეუტიეს სამხედრო აეროდრომ "მეზეს," ყოველდღიურად ათობით ადამიანი იღუპება. თან ეს ხდება ნაწილობრივი "მორატორიუმის" პირობებშიც. მხოლოდ ორშაბათს, სულ ცოტა, 140 კაცი დაიღუპა. ომს ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობაც, მათ შორის, ბავშვებიც.

საერთაშორისო მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, ნელ-ნელა "სწორდება" ის მდგომარეობა, როდესაც "სირიის თავისუფალი არმია" მხოლოდ მოძველებული და თანამედროვე კონფლიქტისთვის შეუფერებელი იარაღით იბრძოდა. ბოლო პერიოდში, ლიბიის ახალი ხელისუფლების მხარდაჭერით, ამბოხებულების ხელში აღმოჩნდა სერიოზული რუსული იარაღი, რომელიც თავის დროზე მუამარ კადაფის არსენალში იყო. ლაპარაკია სნაიპერულ შაშხანებზე, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებსა და თვით გადასატან საზენიტო სისტემა "იგლებზეც" კი. ეს ნიშნავს, რომ იზრდება ამ იარაღის ისლამისტ რადიკალთა ხელში გადასვლის საშიშროებაც, რაც არც ერთ ნორმალურ და სერიოზულ სახელმწიფოს ხელს არ აძლევს. იარაღით მომარაგება, ძირითადად, ლიბანის პორტ ტრიპოლის გავლით ხდება, სადაც ბოლო ორ-სამ თვეში იარაღით დატვირთული, სულ ცოტა, 7 გემი შევიდა. ლიბიელები სირიელებს ასწავლიან ტექნიკის მოხმარებასაც და საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვასაც. "სირიის თავისუფალი არმიის" აღჭურვილობის გაუმჯობესების თაობაზე დასავლურ მედიას ესაუბრა ამ პროცესების მონაწილე, ირლანდიის მოქალაქე, ლიბიური წარმოშობის ჰუსამ ნაჯარი. ის სნაიპერად იბრძოდა ლიბიაშიც, კადაფის წინააღმდეგ, ხოლო ახლა რაზმის მეთაურია სირიაში. მის დაქვემდებარებაში არიან სირიელებიც და უცხოელი დაქირავებულებიც. ნაჯარის სიტყვებით, სირიელ ამბოხებულთა მთავარი პრობლემა დაქსაქსულობაა. ისინი დიდ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად იბრძვიან და ერთმანეთთან კონტაქტი თითქმის არ აქვთ.

ორშაბათს სირიის ტელევიზიით ბოლო ერთი თვის განმავლობაში პირველად აჩვენეს პრეზიდენტი ბაშარ ასადი. ის საჯაროდ არ გამოჩენილა მინისტრების თათბირზე მოწყობილი თავდასხმის შემდეგ, რასაც ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები შეეწირნენ (ამის თაობაზე დაწვრილებით წერდა "24 საათი"). ბაშარ ასადი დედაქალაქის მეჩეთში რამადანის მარხვის დამთავრების აღსანიშნავად ლოცულობდა. მასთან ერთად, იყო ახალდანიშნული პრემიერი, მაგრამ არ ჩანდა ვიცე-პრეზიდენტი ფარუკ შარაა. 18 აგვისტოს ოპოზიციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეს უკანასკნელიც სირიიდან იორდანიაში გაიქცა და ამბოხებულების მხარეს გადავიდა. ეს უარყო ვიცე-პრეზიდენტის ოფისმა, თუმცა თვით ფარუკ შარაა არ გამოჩენილა და კომენტარი არ გაუკეთებია. არადა, ერთ-ერთი გეგმით (იემენის სცენარი), ვიცე-პრეზიდენტი ასადის დროებით შემცვლელად და შერეული დროებითი მთავრობის ხელმძღვანელად განიხილებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შემთხვევაში.

იაპონელი ჟურნალისტი ქალი მიკა იამამოტოც ალეპოში, რაიონ სულეიმანიას დაბომბვისას დაიღუპა. ეს უკვე დაადასტურა იაპონიის საელჩომ სირიაში. მისი ცხედარი უკვე გადაასვენეს თურქეთში. 45 წლის მიკა იამამოტო შედიოდა თავისუფალ ჟურნალისტთა გაერთიანება "Japan Press"-ში. ის სპეციალიზებული იყო მასალების შეგროვებაზე ცხელ წერტილებში. სირიამდე მუშაობდა ავღანეთში, ერაყსა და უგანდაში, დაჯილდოებულია იაპონური პროფესიული პრემიით. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, რამდენიმე დღეა უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა კიდევ სამი ჟურნალისტი - ერთი თურქი და ორი არაბი. იამამოტო არ არის მედიის პირველი წარმომადგენელი, რომელიც სირიაში იღუპება. ჰომსში 11 იანვარს სასიკვდილო ჭრილობა მიიღო ფრანგმა სამხედრო რეპორტიორმა ჟილ ჟაკიემ. 22 თებერვალს კი დაიღუპნენ ამერიკელი მერი კოლვინი და ფრანგი ფოტოკორესპონდენტი რემი ოშლიკი.

გუშინ თეთრ სახლში ჟურნალისტებთან შეხვედრისას სირიის თემაზე საკმაოდ სერიოზული განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. მისი სიტყვებით, ამერიკა გადახედავს თავის პოზიციას და სირიაში სამხედრო ჩარევის გადაწყვეტილებას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ იქ ქიმიური იარაღის გამოყენება დაფიქსირდება ან შეიქმნება ამის რეალური საშიშროება. ამ თემაზე პირველად საუბარი ორიოდე თვის წინ დაიწყო, როდესაც დასავლეთის მიერ მიღებული სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, სირიის არმიამ ქიმიური იარაღის ნაწილი გაიტანა საწყობებიდან. მაშინ ამერიკის (და ისრაელის) მხრიდანაც იყო მხოლოდ მკვეთრი განცხადებები, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება დაუშვებელია და ამ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ბაშარ ასადის რეჟიმს დაეკისრება.

ამჯერად აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებაში უკვე ღიად გაისმა მუქარა. ობამამ თქვა, რომ სირიაში სამხედრო ჩარევის შესახებ ბრძანება აქამდე არ გაუცია, მაგრამ ქიმიური იარაღის გამოყენება შეიძლება გახდეს ის "წითელი ხაზი", რომლის შემდეგაც ამერიკა ჩაერევა კონფლიქტში. აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებით, ეს საფრთხე კონფლიქტს სირიის საზღვრებს გარეთ "გაიტანს". ეს აღარ იქნება ამ ქვეყნის საშინაო საქმე, "ეს შეეხება ჩვენს მოკავშირეებს რეგიონში, ისრაელის ჩათვლით. ეს შეგვეხება ჩვენც." მან გააფრთხილა პრეზიდენტი ბაშარ ასადი და სხვა მოთამაშეებიც (ცხადია, ამბოხებულები და მათი მოკავშირე ისლამისტები იგულისხმებიან) მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისგან. ობამამ ისიც დასძინა, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად, მისი აზრით, ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან წასვლა აუცილებელი იქნება.

ხამოვნიკის სასამართლოს განაჩენი - ფარსი

პირველი გვერდიდან

მადონამ მხარდაჭერა გოგონებს განაჩენის გამოტანამდეც გამოუცხადა, როდესაც მოსკოვში გამართულ კონცერტზე სცენაზე "Like a Virgin"-ი შეასრულა და ზურგზე ამოჭრილი მაისურიდან წარწერა "Pussy Riot"-ი მოუჩანდა.

სპეციფიკური ფორმით მხარდაჭერა რუსეთში რეჟიმის მსხვერპლთ ჰაკერებმაც გამოუცხადეს, როდესაც სამშაბათს დილით ხამოვნიკის სასამართლოს ოფიციალური საიტი გატეხეს და იქ "Pussy Riot"-ის სიმღერა განთავსეს. ვებგვერდის ამოქმედება მალევე გახდა შესაძლებელი, მაგრამ რუსეთის უზენაესი სასამართლოს დეპარტამენტმა საგამოძიებო კომიტეტს მყისიერი რეაგირება მოსთხოვა. ორთოგრაფიული შეცდომებით, მაგრამ მაინც გასაგებად ეწერა გატეხილ ვებგვერდზე, რომ ნამოქმედარის უკან ამერიკული ჯგუფი "Anonymus"-ი იდგა. სკანდალურ სასამართლოსა და ვერდიქტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც გამოეხმაურა. სერგეი ლავროვმა საერთაშორისო საზოგადოებას მეტი სიმშვიდისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ისტერიკის გამართვა საჭირო არ არის.

მსოფლიოში კი რეზონანსი არა მარტო გოგონების წინააღმდეგ გამოტანილმა სასტიკმა განაჩენმა გამოიწვია, არამედ საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ შეაშფოთა რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულმა პრობლემებმა.

არც მეტი, არც ნაკლები - ფარსი, - ასეთია დასავლური მედიის წარმომადგენელთა საერთო მოსაზრება. "Sueddeutsche Zeitung"-ის მიმომხილველის იულინ ჰანსის თქმით, თავად პროცესი იყო უცნაური წარმოდგენა. ამ განაჩენით რუსეთმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ უარი თქვა დემოკრატიული განვითარების გზასა და კანონის უზენაესობაზე. "Washington Post"-ის სარედაქციო სტატიაში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული ის, რომ განაჩენი მეტისმეტად მკაცრი გამოდგა. "სავსებით საკმარისი იქნებოდა, მოსამართლეს ეთქვა, - გოგონებმა ჩადენილისთვის სასჯელი უკვე მოიხადესო და მათთვის თავისუფლება მიენიჭებინა," - აღნიშნულია ამერიკული გამოცემის სტატიაში.

დასავლურ პრესაში იმასაც აღნიშნავენ, რომ სხვა ნებისმიერ ქვეყანაშიც, ცხადია, გოგონები ჩადენილი ანალოგიური მოქმედებისთვის დაისჯებოდნენ, მაგრამ არა ესოდენ მკაცრად. შედარებით ლოიალური დამოკიდებულება ხამოვნიკის სასამართლოს ვერდიქტისადმი იტალიურმა გამოცემა "Stampa"-მ გამოამჟღავნა. მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურა სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა და, ამავდროულად, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ მეტისმეტად მკაცრი სასჯელის გამოტანა არ ღირდა, ვერდიქტი იმის მანიშნებელია, რომ სასამართლომ შენიშვნები ასე თუ ისე გაითვალისწინა.

თავად რუსეთში კი არაერთგვაროვანი შეფასებები მოყვა განაჩენს, მოსახლეობის ნაწილი კმაყოფილი დარჩა ვერდიქტით, ნაწილმა კი აღშფოთება ვერ დამალა, რისი დასტურიც სასამართლოს შენობასთან პოლიციასთან დაპირისპირება და დაკავებებიც მოწმობს. დაკავებულთა შორის არიან ცნობილი ოპოზიციონერებიც, მათ შორის, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენელზე ძალადობის მუხლით 5 წლის თავისუფლების აღკვეთაც ემუქრება. პოლიციელისთვის კბენის ფაქტს თავად კასპაროვი უარყოფს და ექსპერტიზასაც ამ დრომდე მოითხოვს. დაკითხვაზე მან ვიდეომასალაც წარადგინა მტკიცებულების სახით, სადაც ჩანს, რომ მას პოლიციელისთვის არ უკბენია. ადვოკატი კი ოპოზიციონერს ურჩევს, არ მისცეს კბილების ანაბეჭდის აღების საშუალება სამართალდამცავებს, ამ რჩევით მან წერილიც კი გაუგზავნა გარი კასპაროვს. "მივწერე გარის, რომ არავითარ შემთხვევაში არ მისცეს თავისი კბილების ანაბეჭდი, რათა არ შეადარონ ძაღლის კბილების ანაბეჭდს. ამაზე დიდი ანეგდოტის წარმოდგენა შეუძლებელია. იმედი მაქვს, გარიმ წერილი მიიღო და ჩემ რჩევას დაუჯერებს", აცხადებს ადვოკატი იური შმიდტი. კასპაროვის მიერ პოლიციელის დაკბენის ფაქტის არც ადამიანის უფლებების ცნობილ დამცველ ლუდმილა ალექსეევას სჯერა. "ეს არამარტო სულელური და დაუჯერებელი ბრალდებაა, არამედ დამამცირებელიცაა. კასპაროვი ისტერიკული ქალბატონი არ არის კბენა რომ დაიწყოს. იგი ინტელიგენტური და რაციონალური ადამიანია", აცხადებს ალექსეევა.

რუსული მედიის აზრით კი, გოგონების წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი ოპოზიციურად განწყობილი ხალხისადმი ერთგვარი გაფრთხილებაა. რუსული მედიის ნაწილს ამ ასპექტშიც ეთანხმება მსოფლიო პრესა. "Washington Post"-ის თანახმად, პროცესის მსვლელობისას თვალსაჩინო გახდა, რომ "Pussy Riot"-ი სწორედ სხვებისთვის სამაგალითოდ შეირჩა. ამით სხვა ოპოზიციონერების მკაფიო სიგნალი გაეგზავნათ იმის შესახებ, რომ არ ღირს ხელისუფლებისთვის უხერხული შეკითხვების დასმა. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ასევე იტაიული გამოცემა "Corriere della Sera" - "ვერდიქტის მიზანი არა მხოლოდ სამი დისიდენტი გოგონას დასჯა, არამედ სხვებისთვისაც პირში წყლის ჩაგუბებისკენ მოთხოვნა იყო, რათა არ გააღიზიანონ ხელისუფლება". პოლონური გაზეთის "Gazeta Wyborcza"-ს თქმით კი, ამიერიდან რუსეთში ორჯერ დაფიქრდებიან ვიდრე იტყვიან რამეს ხელისუფლების წინააღმდეგ.

ტოტალიტარულ რეჟიმში რომ მხოლოდ აქტიურ ოპოზიციონერებს არ სჯიან, მოწმობს ის ფაქტიც, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს "Pussy Riot"-ის დანარჩენი აქტივისტების მოიძებაც სურს ქვეყანაში. როგორც ცნობილია, "პანკმოლებნში" მონაწილეობას 5 ადამიანი იღებდა, მაგრამ ტოლოკონიკოვას, ალიოხინასა და სამუცევიჩის გარდა სხვების დაკავება ვერ მოხერხდა. დაკითხვაზე ნადეჟდა ტოლოკონიკოვამ განაცხადა, რომ იმ ორ გაუჩინარებულ გოგონას არ იცნობს, მათ უბრალოდ სერაფიმასა და ბალაკლავას უწოდებდნენ. თურმე აქციის ორგანიზებისას პუტინის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილები ერთმანეთს არ ეცნობოდნენ, მხოლოდ ფსევდონიმებით სარგებლობდნენ. სად იმყოფება ეს ორი გოგონა ამჟამად, ცნობილი არ არის.

ტერაქტი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში

პირველი გვერდიდან

ჯერჯერობით არც ერთ შეიარაღებულ დაჯგუფებას მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია. თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქურთები არიან, მიმდინარეობს აკრძალული "ქურთისტანის მუშათა პარტიის" აჯანყებულების აქტიური მოქმედებები. გაზიანტეპის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ერდალ ატამ განაცხადა, რომ აფეთქება დისტანციური მართვის პულტის საშუალებით განხორციელდა.

ადგილზე გადაღებული კადრებიდან ჩანს, როგორ აქრობენ მეხანძრეები დამწვარ მანქანებს, ხოლო იქ მყოფი ადამიანები ავტომობილებისა და ავტობუსის ნამსხვრევებს ათვალიერებენ. მამაკაცთა ჯგუფი ქურთებისა და მათი დაპატიმრებული ლიდერის აბდულა ოჯალანის წინააღმდეგ ლოზუნგებს ყვირიან.

გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების შედეგად დაშავდა 64 ადამიანი. ეს რაიონი ბოლო პერიოდში ათიათასობით სირიელი ლტოლვილის თავშესაფარი გახდა. მათი უმრავლესობა იმ რაიონებიდან არის, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, თუმცა ზოგიერთი მათგანი თავად არის მებრძოლი. თურქეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მუდმივად დააკვირდება სიტუაციას იმ შემთხვევაში, თუ სირიული კონფლიქტის თურქეთის ტერიტორიაზე გადმოტანის სიმპტომები გამომჟღავნდება.

ორშაბათს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პროვინცია ჰაკიარიში აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი თურქი ჯარისკაცი, ერთი კი დაშავდა. თურქეთის ხელისუფლება პასუხისმგებლობას მომხდარზე ქურთების მშრომელთა პარტიას აკისრებს. ბოლო წლის განმავლობაში შეტაკებები "ქურთისტანის მუშათა პარტიასა" და თურქეთის სამხედრო ძალებს შორის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში გახშირდა.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ღამის სერენადები იწყება

პირველი გვერდიდან

სახელგანთქმული ვირტუოზებით დაკომპლექტებული ორკესტრი ოთხ კონცერტს შესთავაზებს მსმენელს. აღსანიშნავია, რომ ეს მუსიკოსები ასევე სოლისტებადაც წარსგებიან. ერთ-ერთ საღამოზე კი, გასული წლის მსგავსად, განხორციელდება ლიანა ისაკაძის ცნობილი პროექტი "მუსიკოსები ხუმრობენ". IV ფესტივალი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს.

საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალ "ღამის სერენადებს" საფუძველი XX საუკუნის 80-იან წლებში ლიანა ისაკაძემ ჩაუყარა. მან ფესტივალი 1982 წელს აფხაზეთში დააარსა. ის ზაფხულობით ბიჭვინთაში იმართებოდა და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

ფესტივალი ყოველწლიურად საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის აქტიური მონაწილეობით იმართებოდა. მას სტუმრობდნენ გამოჩენილი მუსიკოსები როგორც საბჭოთა და შემდეგ უკვე პოსტსაბჭოთა კავშირიდან, ასევე უცხოეთიდან. მათ შორის იყვნენ ალფრედ შნიტკე, კურტ მაზური, გიდონ კრემერი და სხვები. სამწუხაროდ, 1991 წელს ფესტივალმა თავისი არსებობა შეწყვიტა და მხოლოდ 18 წლის შემდეგ, 2009 წელს, ბათუმის მერიის და უშუალოდ ვიცე-მერის ქალბატონ ნათია სურგულაძის ხელშეწყობით, შავიზღვისპირეთის ულამაზეს ქალაქ ბათუმში აღდგა. თუმცა, შუალედში ლიანა ისაკაძე საფესტივალო ზაფხულებს გვჩუქნიდა ბორჯომში. შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალმა აფხაზეთიდან ბორჯომში, მუსიკოსების სახლში გადაინაცვლა. რამდენიმე წელი აღფრთოვანებული მელომანები სწორედ ბორჯომში დადიოდნენ. ხშირად ყოველ საღამოს - წინ და უკან...

ფესტივალი, რომელსაც კვლავ "ღამის სერენადები" ეწოდა, აგრძელებს ბიჭვინთის ფესტივალის ტრადიციებს და ტარდება ღია ცის ქვეშ გონიოს ისტორიული ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე (ძვ. წ. აღ. V ს.). ფესტივალის ლოგოტიპის იდეის ავტორი თავად ლიანა ისაკაძეა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ბათუმის III საერთაშორისო ფესტივალზე შედგა ლიანა ისაკაძის ახალი იდეის პრეზენტაცია. კერძოდ, 2011 წელს ინტერნეტის სოციალური ქსელის Facebook-ის საშუალებით მასთან დამეგობრებული მუსიკოსები გააერთიანა და შექმნა საერთაშორისო ანსამბლი-ორკესტრი "ფეისბუქის ვირტუოზები", რომელიც იმთავითვე ფესტივალის "ღამის სერენადების" საბაზო კოლექტივი გახდა.

2011 წელს ამ ფესტივალის პარალელურად, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში ჩატარდა ლიანა ისაკაძის თაოსნობით დაარსებული კიდევ ერთი ახალი საერთაშორისო ფესტივალი "ფეისბუქის მეგობრები", რომლის გენერალური მენეჯერია გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი და პედაგოგი გიორგი ისაკაძე. 2012 წელს ბათუმში კვლავაც შეიკრიბებიან ფეისბუში გაერთიანებული მუსიკოსები და უკვე მეორედ გამართავენ საერთაშორისო ფესტივალს "ფეისბუქის მეგობრები", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ხელოვანთა გაერთიანებას.

"ღამის სერენადების" ენერალური სპოინსორია - საქართველოს ბანკის სოლო მომსახურება. ის ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ბათუმის მერიის მხარდაჭერით.

ბათუმის IV საერთაშორისო ფესტივალი "ღამის სერენადები"

25-28 აგვისტო, 2012 წელი

გონიოს ციხე

(დასაწყისი - 21:00)

პ რ ო გ რ ა მ ა

25 აგვისტო

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი

სოლისტი - ანდრეი გავრილოვი - ფორტეპიანო (შვეიცარია)

დირიჟორი - ვლადიმერ ვერბიცკი (რუსეთი)

- ბეთჰოვენი - სიმფონია N7

- სენ-სანსი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის N2

26 აგვისტო

ეძღვნება "რადიო მუზას" დაარსებიდან 5 წლისთავს

ანსამბლი "ფეისბუქის ვირტუოზები"

I

- შუბერტი - საფორტეპიანო კვინტეტი "კალმახი", op. 114, ლა მაჟორი

ლ. ისაკაძე - ვიოლინო,

ნ. რექსროტი - ფორტეპიანო (გერმანია), ი. ჟისლინი - ალტი (ინგლისი)

ი. მონიგეტი - ჩელო (შვეიცარია), დ. გაგულიძე - კონტრაბასი (საქართველო)

II

- ჩაიკოვსკი - "მედიტაცია", "ვალსი-სკერცო"

ა. ბარანოვი - ვიოლინო (შვეიცარია), ვ. მიშჩუკი - ფორტეპიანო (რუსეთი)

- შოსტაკოვიჩი - საფორტეპიანო ტრიო, op. 67, N2

- ლ. ისაკაძე - ვიოლინო, ვ. მიშჩუკი - ფორტეპიანო, ი. მონიგეტი - ჩელო

27 აგვისტო

კამერული ორკესტრი "ფეისბუქის ვირტუოზები"

I

- ი.ს. ბახი - კონცერტი 3 ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, რე მაჟორი (BWV 1064)

ნ. ლომეიკო - (ინგლისი), ი. ჟისლინი (ინგლისი), ა.ლ. ბეზროდნი (ფინეთი)

- ბოკერინი - კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის N2, რე მაჟორი

სოლისტი და დირიჟორი - ი. მონიგეტი

- შუბერტი - "რონდო", ლა მაჟორი

სოლისტი და დირიჟორი - ლ. ისაკაძე

II

"მუსიკოსები ხუმრობენ"

28 აგვისტო

საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი

სოლისტი - ლიანა ისაკაძე

დირიჟორი - ემანუელ ლედიუკ-ბარომი (საფრანგეთი)

- მენდელსონი - უვერტიურა "Hebriden"

- ბრამსი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის

- ბეთჰოვენი - სიმფონია N7

****

ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

ქეთევან მატაბელი

გია გუგუშვილი

შალვა მატუაშვილი

ისტორია ელექტრონულ ფორმატში

ეროვნულ არქივში უძველესი ისტორიული დოკუმენტების დიგიტალიზაცია მიმდინარეობს

ბელა ჩეკურიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში უძველესი ისტორიული დოკუმენტების დიგიტალიზაცია მიმდინარეობს. საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული ქართული ისტორიული საბუთების დედნების კოლექცია XI-XIX საუკუნეებით თარიღდება, რომელთაგან ამ ეტაპზე უკვე 4000-ზე მეტი დოკუმენტის - 4500-მდე ფურცლის ელექტრონული ვერსიაა შექმნილი.

დიგიტალიზაციის პროცესი თანამედროვე აპარატურით ხდება, რაც უზრუნველყოფს უძველესი დოკუმენტების მაქსიმალურად უსაფრთხო გადაღებასა და დაზიანებისგან დაცვას. სპეციალური ფოტოობიექტივი და განათება, რომლითაც აღჭურვილია უკონტაქტო სკანერი, დოკუმენტის უმცირეს დეტალსაც კი მაღალი ხარისხით აღბეჭდავს. ელექტრონული ფაილები თავს იყრის სპეციალურ პროგრამაში ICA ATOM, რომელიც არქივების საერთაშორისო საბჭოს ICA-ს მიერ არის შემუშავებული და სრულად შეესაბამება აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს. თითოეულ დოკუმენტს ერთვის აღწერილობა: ტექნიკური მახასიათებლები (შექმნის თარიღი, ზომა, ქაღალდის სახეობა და ა.შ.), მოკლე შინაარსი, მასში მოხსენიებული პიროვნებები, გადამწერი, გადაწერის ადგილი და დოკუმენტისთვის დამახასიათებელი სხვა აღწერილობა. პროგრამა უზრუნველყოფს დოკუმენტის მოძიებას უმოკლეს დროში ნებისმიერი აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით. სპეციალური საძიებო კატალოგის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცემა სახლიდან გაუსვლელად ნახოს მისთვის საინტერესო დოკუმენტი და გაეცნოს მის აღწერილობას.

განყოფილებაში ქართული ისტორიული საბუთების 4 კოლექციაა დაცული. დოკუმენტებში ასახულია საქართველოს ფეოდალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების, მიწათმფლობელობის და ცალკეულ წოდებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხები, სათავადოების ისტორია, სასამართლო ორგანიზაცია, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, საგლეხო ბეგარა-გადასახდები, საბაჟო სისტემის, ეკლესიის მდგომარეობის და სხვა მრავალი საინტერესო საკითხი.

ქართული ძველი საბუთების დედნების კოლექცია 11 000-მდე დოკუმენტს მოიცავს. საბუთის მასალად გამოყენებულია ეტრატი (მცირე რაოდენობით) და ქაღალდი (თეთრი, რუხი, ცისფერი და ღია ყავისფერი). ხელის მიხედვით სჭარბობს მხედრული, მცირე რაოდენობით - ნუსხური.

კოლექციაში დაცულ საბუთებს შორის ყველაზე ადრეული საბუთი დათარიღებულია 1029-1033 წლებით და წარმოადგენს მელქისედეკ კათოლიკოსის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი სამკაულების, საეკლესიო ნივთებისა და ყმა-მამულის შეწირულების სიგელს, დაწერილს ეტრატზე.

თავისი სიძველით, შინაარსითა და მნიშვნელობით ყურადღებას იქცევენ შემდეგი საბუთები: 1072 წ. გიორგი II-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემული სოფლების შეწირულების განახლების სიგელი, შესრულებული ეტრატზე; დავით აღმაშენებლის მიერ გაცემული ორი საბუთი: 1. მამულის წყალობის სიგელი, მიცემული ნიანია ნიანიასძისადმი; 2. 1123 წ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა მიცემული შიომღვიმის მონასტრისადმი, რითაც შესწირა ქართლის სოფლები და სპარსეთიდან წამოღებული ქონება. საბუთთა შორისაა მე-9 საუკუნით დათარიღებული ანჩის სახარება და თამარ მეფის სიგელი, გაცემული 1187 წელს, სოფელ ჭორვილას შეწირულების წიგნი გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი. მეფემ ჭორვილას შემოსავლის ნაწილი შესწირა გელათის მონასტერს, თორმეტი უსახსრო მწირის გამოსაკვებად. 1222 წ. თარიღდება ლაშა გიორგის მიერ გაცემული გაშვებულობის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი. მეფემ მონასტრის კუთვნილი სოფელი აგარა გადასახადებისგან გაათავისუფლა.

კოლექციაში წარმოდგენილია მეფეების: კონსტანტინე I-ის, ალექსანდრე დიდის,ლეონის, არჩილის, ვახტანგ IV-ის, თეიმურაზ I-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის და ქართველი დიდებულების მიერ გაცემული საბუთები, აგრეთვე, კათალიკოს-პატრიარქებისა და სხვა სასულიერო პირთა სიგელები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ძველ საბუთთა პირთა სამი კოლექცია, რომელიც მოიცავს

XI - XIX ს.ს. ეს დოკუმენტები დედნებიდან სხადასხვა დროს, სხვადასხვა პირების მიერ არის გადაწერილი. გადამწერებს შორის ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო და კერძო პირია. გადაწერილი პირები ისეთივე ღირებულია, როგორც დედნები, რადგან გადაწერილი დოკუმენტების უდიდეს ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცულ უნიკალურ დოკუმენტთა შორის უძველესი ხელნაწერია IX საუკუნის სახარება, ოთხთავი, შესრულებულია ეტრატზე ასომთავრულით, რომელიც მნიშვნელობით უტოლდება ჯრუჭისეულ სახარებას.

IX-X ს.ს. მიეკუთვნება საგალობელი სანოტო ნიშნებით, შესრულებული ეტრატზე ნუსხურით. აღსანიშნავია XII საუკუნის თამარ მეფის დროინდელი სახარება, იგივე ანჩის სახარება (ოთხთავი), რომლის ყდა მოჭედილია ვერცხლით და მწვანე დიდი თვლითბექა ოპიზარის მიერ. აქვს მხატვრობა - მათე მახარებელი. ხელნაწერი წყაროსთავის ეკლესიიდან ჩამოუტანიათ თამარისბრძანებით და ანჩისხატის ტაძარში დაუსვენებიათ.

XVI საუკუნისაა გულანი (ლოცვების კრებული), რომელიც გამოირჩევა მინიატურებით - მას 12 ნახატი ახლავს. მხატვარი უცნობია. ხელნაწერი სქელტანიანია და გადაწერილია სამეგრელოში ლევან დადიანის ბრძანებით.

თარიღიან ხელნაწერებს შორის ყველაზე ადრეულია 1534 წლის სახარება, რომლის ტყავის ყდა მოჭედილია ვერცხლის ჯვრით.

ხელნაწერ წიგნებს შორისაა:ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია და გეოგრაფია და ატლასი (ავტოგრაფები)» სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, «რუსუდანიანი», «ვეფხისტყაოსანი», ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები, დავით თუმანიშვილის მსოფლიო ისტორია, თეიმურაზ I-ის ლექსები, სამკურნალო წიგნები, გიორგი ერისთავის »გაყრა»(იტალიელი მხატვრის კორადინის ნახატებით),ანტონ კათალიკოსის »რიტორიკა» და მრავალი სხვა.

განყოფილებაში დაცულია, აგრეთვე, სასულიერო პირთა და ისტორიკოსთა პირადი ფონდები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მათ შორისაა კირიონ II-ის, პოლიევქტოს კარბელაშვილის, გიორგი ბოჭორიძის, თედო ჟორდანიას პირადი ფონდები. ყველა ამ პიროვნებას დიდი ღვაწლი მიუძღვით ისტორიული საბუთების შეგროვების, კვლევისა და გამოქვეყნების საქმეში.

ძველ საბუთთა დედნების კოლექციის ელექტრონული ასლების შექმნა შესაძლებელს გახდის თავიდან ავიცილოთ დოკუმენტების ხშირი გამოყენება, რაც მათ ხანგრძლივ დაცვას უზრუნველყოფს. ამავდროულად, ეროვნულ არქივში დაცული ძველი საბუთებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისა თუ მკვლევარისათვის დოკუმენტების ციფრული ასლები ხელმისაწვდომი იქნება უმოკლეს დროში.

ადრე ასე ვერ ვიგებდით

ზურაბ თალაკვაძე

ვიქტორ სანიკიძემ ორმაგი დუბლი შეასრულა

ბალკანეთის იერუსალიმში საქართველომ პატარა ხატი დადგა. ის ხატი სულ იქ იქნება. მონატრების, სითბოს, გახსენების და გასახსენებელის ხატი. სარაევოდან მაგარი თამაში წამოვიღეთ. ვიგებდით ბევრს, ბოსნიასთან გარჩევისთვის მოულოდნელად ბევრს და მერე ყველაფერი ლოგიკურად, ვალიდოლურად წავიდა. ბოსნიამ აკრიფა, მირზა ტელეტოვიჩმა მირზა ტელეტოვიჩივით გადახსნა ყველაფერი და ცოტა დაღლილმა საქართველომ მოიგო. უნდა მოეგო. ევროპის იერუსალიმი ერთი საღამოთი ჩვენია. 40 წუთი 96:95 დავხურეთ. ძველ, საქართველოს წინა ნაკრებთან ერთი სხვაობაა. სადღაც ვერ გავქაჩეთ, სადღაც დავდექით და სადღაც ვიომეთ. ეს ადრეც ხდებოდა და ადრე ასეთ თამაშებს ვერ ვიგებდით. სარაევოში ეს ამბავიც შეიცვალა.

ბოსნიასთან ოთხ მეოთხედში ნაკრები სამჯერ შეიცვალა. ბოსნიაც სამჯერ შეიცვალა და მოსაგები ჩვენ მოვიგეთ. რაღაც მომენტში ქართულმა გუნდმა ქართულად ცელქობა დაიწყო და რომ წაგვეგო, გული მაგრად დამწყდებოდა. მე რა, ყველას, ნაკრებს, ზაზა ფაჩულიას დაწყდებოდა გული. მოგებულის წაგება გამოდიოდა და ბოლო წუთებზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ზაზა ფაჩულია იყო. დიდმა ბიჭმა ნაკრები განიერ ბეჭებზე დაიდო და ბოლომდე ატარა, დაასვენა, ზიდა. ფაჩულია დიდი იყო.

ბოსნიაში თავისი ფაჩულიაა და იმ კაცმა ბევრჯერ დაგვჭრა. ტელეტოვიჩმა ცუდად დაიწყო, სასროლი არ ისროლა, ჩასაგდები ვერ ჩასვა და მერე დაიწყო. მძიმე, ცოტა მოუქნელი და მაგარი ბოროტი ფორვარდი ყველაფერს აგდებდა. ახალ სეზონში ტელეტოვიჩი ამერიკაში, თოკო შენგელიასთან ერთად «ბრუკლინში» ირბენს. შენგელია მომენტებში ძალიან კარგი იყო. უკეთესი, უფრო ბრუკლინური იქნება. თორნიკე კალათბურთის აზრზეა და ტელეტოვიჩი კალათბურთში ყველაფრის აზრზეა.

პირველ ორ მეოთხედში კოკოშკოვის ბენდმა საუკეთესო ჯაზი დაუკრა. მაგარი სოლოისტებით, მაგარი კოკოშკოვით და მაგარი სმენადი იმპროვიზაციით.

სარაევოს პირველი ტაიმი დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ამბებში, ყველაზე კარგი იყო. პირველად ვიგებდით მოსაგებს და არ ვნუწუნებდით. პირველად ვიგებდით მშვიდად და არ ვნერვიულობდით, რომ უნდა გვენერვიულა. სარაევოში მშვიდი საქართველო და იდეალური კაპიტანი იყო.

პირველ ტაიმში 54:38 დაჯდა და უფრო მეტი უნდა დაგვესვა. ბოლო წამზე სამიანი გავუშვით და ბოსნიამ დიდ შესვენებაზე ნაკლები ვალოკორდინი ჩაისხა. კოკოშკოვმა ბიჭები დაასვენა, აზრზე მოიყვანა და მეორე ტაიმიც მშვიდად, აკადემიურად, სანდოდ დავიწყეთ. მერე რაღაცეები შეიცვალა და ცოტა აჭრილი, ცუდი კალათბურთი წავიდა.

ბოლო წუთებზე ბოსნიამ რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა და ჩვენც ბევრი შეცდომა დავუშვით. ბოლო წუთებზე საქართველომ დაისვენა და ზაზამ ორი სადისტური რეიდი გააკეთა. ფაჩულია შედიოდა სამწამიანში და სამწამიანი იშლებოდა, უფრო განიერი, ზაზას პრივატული ფართი ხდებოდა. ფაჩულიამ მიანგრია კედლები, დაყარა მაღალი და დაბალი ბოსნიელები, შეასრულა. ზაზამ მოიგო. პერსონალურად. ბოლო წუთები ჩვენი დიდი ბიჭის წუთები იყო. ზაზამ ჩააგდო და ზაზამ არ ჩააგდებინა. გააკეთა ის, რასაც კაპიტანი, ყველაზე საჭირო პერსონაჟი აკეთებს. ფაჩულია იდეალური იყო.

თორნიკე შენგელიამ 12 ქულა დააგროვა

ტელეტოვიჩმა უკან გადაწეულმა, სახეში ბევრი ქართველის თითით, წინააღმდეგობით, სპორტული ბრექობით ჩააგდო ჩასაგდები. მირზა იწეოდა და ბურთისთვის არ უნდა შეგეხედა. გასაგები იყო, რომ მიხაილ პროხოროვის ბოსნიელი ბიჭი ჩააგდებდა. ტელეტოვიჩი ბოსნიას პრობლემებს უგვარებდა და ბოსნია წინ ვერ გავიდა. რომ გასულიყო, იმ ეიფორიის და ტალღის გაჩერება უკვე პრობლემა იქნებოდა. სადღაც საქმე ბოსნიაზე უკეთ გავაკეთეთ და მერე ის ორი გაცვლა იყო.

ჯერ ჩვენ გვაქვს ბურთი და ჯეიკობ პულენმა დეტროიტიდან გაუშვა ბურთი. ფაჩულიამ მოხსნა, მეორე ფაზა დაგვიტოვა და ბურთი უკვე გიორგი ცინცაძეს აქვს. წამები გადის, ბოსნია გაიხსნა, პერსონალურ დაცვაში ჩაჯდა. ფაჩულიაზე ერთი კაცი დარჩა და ზაზა გიოს დერეფანს უხსნის. ცინცაძე დაიძრა და მერე ბურთი დავკარგეთ. ბოსნიას ბოლო სროლაზე 4 წამი რჩება. მერე დრო გადაწიეს და ბოსნიას უკვე 6 წამი აქვს. ბევრია. ბევრი და - ერთი ზუსტი სროლისთვის საკმარისი. ბოსნია იღებს წუთშესვენებას.

შემოტანიდან ბურთს დედოვიჩი იღებს და ჩვენი სამწამიანისკენ ტრიალდება. იქ ფაჩულია დგას. იქ კაპიტანი არ დაიძრა, უბრალოდ დაიძრა ბოსნიელისკენ და მსროლელს დისკომფორტი შეუქმნა. ბოსნიელმა ვერ გაუშვა ბურთი და პროცესში, დროც დამთავრდა. 96:95, ვიგებთ. კოკოშკოვმა ცოტა დაისვენა და საქართველომ მაგარი გვანერვიულა. იდეაში, არ უნდა გვენერვიულა და რეალურად, ქართული ფინალი გამოვიდა. ფინალი, რომელსაც ადრე ვერ ვიგებდით და რომელიც სარაევოში ერთი და სმენადი აკორდით დავხურეთ. ბოსნიას ბოსნიაში ავუწიეთ ყური. მართლა კარგი იყო.

რუმინეთთან ფაჩულიას გარეშე წავაგეთ საკუთარი ფარი და სამწამიანში იაღლიშები იყო. ბოსნიასთან სამწამიანში «ატლანტას» ცენტრი იდგა და საკუთარი ფარი მაინც წავაგეთ. ბოსნიამ ჩვენი ტერიტორიიდან 17 მოხსნა წამოიღო. ბევრია.

რუმინეთთან შეცდომებს კლასით ვფარავდით და ბოსნიასთან ერთი ცუდი ტაიმი იდეალური ტაიმით გადავფარეთ. ვიქტორ სანიკიძემ კიდევ ერთი ორმაგი დუბლი ხია და არასრულ 31 წუთში ბიჭმა 18/9 სროლა გამოიყენა. ნორმალური, მისაღები პროცენტი.

მანუჩარ მარკოიშვილმა ზაზა ფაჩულიაზე 5 წამით მეტი (34:34) მიიღო. მანუმ პირველი ორი საჯრიმოდან ერთი ჩასვა, რამდენიმე თავისი სროლა სხვაგან გაუშვა და ბოლო მეოთხედი მარკოიშვილის ოთხი ქულით გაიხსნა. საჭირო, აუცილებელი ოთხი ქულით. მანუჩარი ბოსნიასთან - 12/8 ზუსტი საშუალო. სერიოზული დაცვა, 5 ჩაჭრა, სანდო და კოკოშკოვისთვის იდეალური თამაში. მანუმ აზროვნებით აკრიფა და სოლიდურ დროში მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა. აკურატულ მარკოიშვილთან ერთად ნაკრებიც აკურატული იყო.

შენგელიამ სერიულად გააკეთა საქმე. მომენტებში ძალიან კარგი, ტელეტოვიჩზე სანდო და ბევრჯერადი იყო. მომენტებში თორნიკეს გამოცდილება აკლდა და ეს მოვა, დაიქაჩება. შენგელია უნივერსალია და თოკოს კალათბურთთან ბევრწლიანი კონტრაქტი აქვს. 29 წუთში 7/5 საშუალო და 3 შეცდომა. ბოსნიას თოკოს აგრესიის გარეშე ვერ გავაჩერებდით. სადაც საჭირო იყო, შენგელიამ პრობლემები მოაგვარა.

ჯეიკობ პულენმა 8 სამიანი ხია და 4 ჩააგდო. ჩვენმა შოკოლადის ბიჭმა 8 საშუალო ხია და 3 ჩააგდო. ამერიკელმა ამერიკულად, ცოტა ზედმეტი იდნივიდუალიზმით ითამაშა და უკეთესი იქნება. ბიჭი ნაკრებს, იგორის სქემებს, ჩვენი მთავარი მწვრთნელის აზროვნებას ეჩვევა და პულენი საჭირო კაცია. თუ ჯეიკობი დაცვაშიც მოუმატებს, კარგი იქნება.

ცინცაძემ საინტერესოდ დაიწყო, სანერვიულოდ დაამთავრა და ცინცაძე შარშანდელ გიოზე უკეთესი, მრავალმხრივი აგრესორია. გიორგი შედის სამწამიანში და იმ შესვლას ამთავრებს. გიორგი შედის სამწამიანში და ამას აგრესიით, ლტოლვით, ინტერესით აკეთებს. ცინცაძე ჩვენი პირველი ნომერია და ბოსნიასთან გიორგიმ მაგრად დაიწყო.

ცოტა დრო მიიღო გიორგი შერმადინმა. «მაკაბიში» ბიჭი გენიოსთან მიდის და გენიოსამდე გიო კოკოშკოვის აკადემიაში სწავლობს. საშინაო დავალებას ნორმალურად ასრულებს. ცოტა შემცირდა შერმადინის დრო და გიო საჭირო ელემენტია. კოკოშკოვის მანქანაში შერმადინი სულ საჭიროა. უქულოდ ბოსნიასთან, მაგრამ გიორგიმ ორი მაგარი დაფარება აიღო. შერმადინი მოუმატებს და გაიზრდება ჩვენი ცენტრის დროც. ყველა ვარიანტში უნდა გაიზარდოს.

რჩება ზაზა. კაპიტანმა მოიგო. კაპიტანი კაპიტანი იყო.

ბალკანეთის იერუსალიმში საქართველომ პატარა ხატი დადგა. ის ხატი სულ იქ იქნება. მონატრების, სითბოს, გახსენების და გასახსენებელის ხატი. სარაევოდან მაგარი თამაში წამოვიღეთ. ვიგებდით ბევრს, ბოსნიასთან გარჩევისთვის მოულოდნელად ბევრს და მერე ყველაფერი ლოგიკურად, ვალიდოლურად წავიდა. ბოსნიამ აკრიფა, მირზა ტელეტოვიჩმა მირზა ტელეტოვიჩივით გადახსნა ყველაფერი და ცოტა დაღლილმა საქართველომ მოიგო. უნდა მოეგო. ევროპის იერუსალიმი ერთი საღამოთი ჩვენია. 40 წუთი 96:95 დავხურეთ. ძველ, საქართველოს წინა ნაკრებთან ერთი სხვაობაა. სადღაც ვერ გავქაჩეთ, სადღაც დავდექით და სადღაც ვიომეთ. ეს ადრეც ხდებოდა და ადრე ასეთ თამაშებს ვერ ვიგებდით. სარაევოში ეს შეიცვალა.

▫ ჯგუფი

ბოსნია-საქართველო 95:96
9:28, 29:26, 34:23, 23:19

ბოსნია: ტელეტოვიჩი (**27**+4 მ), დედოვიჩი (**20**+4 პ+3 ჩ), მაშიჩი (**17**+6 მ), სინანოვიჩი (**13**+12 მ), პერშიჩი (**8**+4 მ), კიკანოვიჩი (**6**), რაიტი (**4**+15 პ+13 მ+4 ჩ).

საქართველო: პულენი (**20**+2 მ+2 პ), სანიკიძე (**19**+11 მ+2 პ+2 ჩ), მარკოიშვილი (**17**+5 ჩ+3 პ+2 მ), ფაჩულია (**16**+7 მ), შენგელია (**12**+6 მ+2 პ), ცინცაძე (**12**+7 პ+4 მ+2 ჩ), შერმადინი (**უქულოდ**, 4 მ+2 დ).

ლატვია-ჰოლანდია 85:70
22:22, 18:14, 20:15, 20:19

ლატვია: კუკსიქსი (**28**+4 მ+2 პ), ბერტანსი (**16**+7 მ), კ.ბერზინსი (**13**+5 მ+2 პ).

ჰოლანდია: ნორელი (**16**+6 მ+2 პ+2 დ), აკერბომი (**13**), იანსენი (**10**+7 პ+4 მ).

ძველი გორანი

ალექსანდრე ასათიანი

ანრი ლეკონტი თამაშის დროს

ადრე უფრო კარგი ჩოგბურთი იყო. პიტ სამპრასის ჯორდანული სმეშები, ბორის ბეკერის უხეში და სექსუალური მოძრაობა, ანდრე აგასის ბაჯბაჯი და იდეალური თაიმინგი, მიხაელ შტიხის პიანისტის თითები და ტევტონური ქარიზმა, უეინ ფერეირას ჭორფლი. ჩოგბურთს ჩოგბურთელები თამაშობდნენ და რობოტები ახალი გენერაციისთვის ემზადებოდნენ. ძველ ბიჭებში კიდევ ერთი კარგი ბიჭი იყო. გორან ივანიშევიჩი. ხორვატი კიკინით, კიკინის გარეშე, ხულიგანი ბევრი ეისით და ოცნებით. გორანს უიმბლდონის მოგება უნდოდა და ვერ იგებდა. უკვე დასვენებას აპირებდა, პულაში პატარა სასტუმრო შეიძინა, წვერი გაიპარსა. მერე მოუვიდა მესიჯი უიმბლდონის ორგანიზატორებისგან, ჩამო, მაგარი პრეზენტაცია გვაქვს და შევუბეროთო. 2001. გორანი ჩადის ლონდონში, მიდის ფინალამდე, გზადაგზა ხსნის ტიმ ჰენმანს და ბოლო ტესტში პატ რაფტერი ამოდის. გორანმა რაფტერიც გადაჯოკრა.

ივანიშევიჩი შეიცვალა. სასტუმროების ბიზნესში ოც მილიონამდე ჩადო და გაკოტრდა. გორანს ძმაკაცებმა სარფიანი კრედიტი ააღებინეს და პარალელურად ივანიშევიჩი ვეტერანების ტურზე (ATP Champions Tour) გადავიდა. ბელგიაში პენსიონერების ბოლო გარჩევები წავიდა და კნოკე-ჰეისტის ტურნირი ივანიშევიჩმა მოიგო.

ორ ჯგუფში რვა პოპულარული პერსონაჟი ჩასვეს. პირველ ჯგუფში ტომას ენკვისტმა გააჩერა მარკ ფილიპუსისის სკადები. შვედმა კარლოს მოიას ესპანური ხვნეშაც გადაფარა და ფინალში გავიდა. ენკვისტმა ორივე ტესტი საჩემპიონო ტაი-ბრეიქით ჩააბარა. ფილიპუსისი ცოტა დაღლილი იყო. მარკი ტურნირამდე რაღაცას აპიარებდა.

ივანიშევიჩი მეორე ჯგუფში ჩასვეს. ორ საყვარელ და ცელქ ფრანგთან ერთად. გი ფორჟე დევისის თასზე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანია. ანრი ლეკონტი ადრე, ტურზე ბენი ჰილი იყო. ლეკონტის იუმორი დღეს უფრო ჩანს. ანრი ბელგიაშიც მაგრად გაერთო. ლეკონტმა წააგო გორანთან და გაერთო. ლეკონტი აგებს ფორჟესთან და ერთობა. ფორჟე ვერ იგებს ივანიშევიჩთან და არ ნერვიულობს. ხორვატი ფინალშია.

ივანიშევიჩი: "ჩემპიონთა ტურზე ჩემი საუკეთესო ტაი-ბრეიქი (10:6) ავიღე. ვეღარ ვმოძრაობდი და ყველა გათამაშება ერთი დარტყმით უნდა დამეხურა. თითქმის ყველაფერი გამოვიდა. მეორე სეტში მარჯვენა მუხლი მეტკინა. ცოტა შეშუპდა, ჩალურჯდა... ხდება ხოლმე... გაივლის. ტომასმა მაგრად მაწვალა. არ მიკვირს. ენკვისტი ყოველთვის სადისტი იყო. იგებდა და არ გათამაშებდა. ვერ იგებდა და უფრო არ გათამაშებდა. ტომასი ჩემი მეგობარია."

ენკვისტმა რამდენიმე გათამაშება თავის მუღამში, მძიმე, ლაზერული ფორჰენდით აიღო. შვედი ოდნავ მძიმედ მოძრაობდა. ენკვისტს ზურგის მიკროტრავმა აქვს და ფინალში ვერ აკრიფა. მეორე სეტი ენკვისტმა მალე დაირტყა და ეს უფრო გორანის ტრავმამ განაპირობა. ტომასი შემდეგი ტურნირებისთვის უკეთ მოემზადება.

ენკვისტი: "ივანიშევიჩი ძალიან კარგი პერსონაა. ყოველთვის სასიამოვნო იყო მასთან თამაში. ეს განსაკუთრებული გამოწვევაა. ბრავო ორგანიზატორებს. ჩემპიონთა ტურის გარდა, დღეს სხვა საქმეებიც მაქვს, მაგრამ როდესაც ტურნირია, ყველაფერი ჩერდება და მთელი ყურადღება ჩოგბურთზე გადამაქვს. საინტერესო ერთი კვირა იყო."

ფინალის მოგებით ივანიშევიჩი რეიტინგში მესამე საფეხურამდე ავიდა. გორანივით 600 ქულა პატარა ფრანგს, ფაბრის სანტოროს აქვს. ენკვისტი 500 ქულით მეხუთეზე დაჯდა და ჯონი მაკინროუ შეაწუხა. მეორეზე ისევ ფილიპუსისია. მარკმა უნდა დაისვენოს.

პრო ტური როიალ ალბერტ ჰოლში, ლონდონში გადადის. 5-9 დეკემბერს როიალურ დარბაზში Statoil Masters Tennis წავა. უკვე ვიცით, რომ ტურნირში მონაწილეობას იღებენ მაკინროუ, ივანიშევიჩი, ლეკონტი, ფილიპუსისი, მათს ვილანდერი, პატ კეში, ჰენმანი და მანსურ ბაჰრამი. საინტერესო ივენთი საინტერესო მონაწილეებით.

I დღე: **ტომას ენკვისტი**-კარლოს მოია **6:3, 3:6, 12:10, გორან ივანიშევიჩი**-გი ფორჟე **6:4, 2:6, 10:8**.

II დღე: **კარლოს მოია**-მარკ ფილიპუსისი **6:3, 1:6, 10:6, გორან ივანიშევიჩი**-ანრი ლეკონტი **6:2, 7:6 (3)**.

III დღე: **ტომას ენკვისტი**-მარკ ფილიპუსისი **6:3, 6:7 (3), 10:5, გი ფორჟე**-ანრი ლეკონტი **6:3, 6:4**.

19 აგვისტო. ფინალი: **გორან ივანიშევიჩი**-ტომას ენკვისტი **7:6 (3), 2:6, 10:6**.

ATP Champions Tour. რეიტინგი

1. კარლოს მოია (ესპანეთი)	**1 375**
2. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	730
3. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	600
3. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)	600
5. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	500
6. ჯონ მაკინროუ (აშშ)	400
7. სტეფან ედბერგი (შვედეთი)	380
8. ივან ლენდლი (აშშ)	300
8. გრეგ რუზეცკი (დიდი ბრიტანეთი)	300
8. მაგნუს ლარსონი (შვედეთი)	300

ჩოგბურთელები და მათი ბიზნეს-პროექტები

ჩოგბურთის ვარსკვლავებს დიდი შემოსავლები აქვთ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისინი ხშირად ცდიან ბედს ბიზნესში. ახლახან მარია შარაპოვას სახელობის კანფეტები გამოვიდა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ მოქმედი ჩოგბურთელების რამდენიმე ბიზნეს-პროექტი.

მარია შარაპოვა

ის ჯერ მხოლოდ 25 წლისაა და უკვე დიდი ხანია ქალ სპორტსმენებს შორის ყველაზე მაღალანაზღაურებადია. შეიძლება კაცმა თქვას კიდეც, ნეტავი რა რჯის, იცხოვროს თავისთვის მშვიდადო, მაგრამ მარია მხოლოდ სპორტული შემოსავლებით არ კმაყოფილდება და ბიზნესშიც ცდის საკუთარ ძალას. ორი წლის წინ შარაპოვამ გააფორმა კონტრაქტი კომპანია Nike-თან, რომლის თანახმად, 70 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, Nike-ი კი მარიას სახელობის კაბებს უშვებს (მარიას დიზაინითვე).

გასულ წელს ცნობილი გახდა, რომ გამოდის საკონდიტრო ხაზი Sugarapova (შუგარაპოვა). არც ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა შარაპოვას სახელობის კანფეტებიც.

ვენუს და სერენა უილიამსები

ორივე დას დიზაინერის განათლება აქვს მიღებული. ვენუსმა უნივერსიტეტის დამთავრებამდე გამოუშვა თავისი ტანსაცმლის ხაზი Eleven. მისი კაბებიდან ყველაზე ცნობილია ისინი, რომლითაც ის შარშანწინ თამაშობდა როლან გაროზე. ვენუსის მოდელებიდან ყურადღებას იქცევს კრემისფერი საცვლები, რომლითაც ახლა არაერთი ჩოგბურთელი სარგებლობს.

ტანსაცმლის გარდა, უფროსი უილიამსი ინტერიერების დიზაინითაცაა დაკავებული. ვენუსის კომპანიის V*Starr Interiors-ს რეზიუმეში თქვენ შეხვდებით ნიუ იორკის ოლიმპიური სოფლის სასტუმროებს (ნიუ იორკს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სურდა და ოლიმპიური სოფლის პროექტიც ამიტომ შედგა), ოფისებსა და აპარტამენტებს პალმ ბიჩში და კიდევ არაერთ პროექტს სხვადასხვა პრესტიჟულ რაიონში.

არ გეგონოთ, რომ ბიზნესით მხოლოდ ვენუსია დაკავებული. სწორედ სერენას სახელს უკავშირდება ბრენდი Aneres (სიტყვა გამოდის, თუ "სერენას" უკუღმა წაიკითხავთ), რომელიც ინტერნეტ მაღაზიების ქსელს ფლობს. სერენა, უფროსი დის მსგავსად, ტანსაცმლისა და აქსესუარების დიზაინიც ცდის ბედს. "ყველაზე მეტად კაბების დიზაინის შექმნა მიყვარს, თუმცა, ბოლო ხანს ჩანთებზე გადავერთე. გამოგიტყდებით, ჩანთების დიზაინი მიჭირს, მაგრამ ძალიან მომწონს", - ამბობს სერენა.

არნო კლემანი და მიკაელ ლორდა

არნო კლემანს და მიკაელ ლორდას ერთად არაერთი ტურნირი აქვთ მოგებული. მათ შორის უიმბლდონიც. თუმცა, მათი ყველაზე დიდი მიღწევა ჩოგბურთს არ უკავშირდება. გასულ თვეში ჩოგბურთელებმა, რამდენიმე კომპანიონთან ერთად, საფრანგეთის ქალაქ დიჟონში გახსნეს ღვინის ბარი, უფრო სწორად, ღვინის მარანი. Dr Wine-ში 150 დასახელების ღვინის დალევა შეგიძლიათ. მარანი 50 სტუმარზეა გათვლილი. როგორც ამბობენ, ორი ჩოგბურთელის ღვინის სამფლობელოში ადგილების დეფიციტია.

კაროლინ ვოზნიაცკი

ვოზნიაცკების ოჯახმა კაროლინის წარმატება სწრაფად აქცია სარფიან სპონსორულ კონტრაქტებად. რამდენიმე სეზონში კაროს კომპანია "ადიდასისა" და სტელა მაკარტნის ერთობლივი პროდუქციის სახედ იქცა. თანამშრომლობს Turkish Airlines-თან და კიდევ რამდენიმე ცნობილ კომპანიასთან. პარალელურად კაროს მამამ შვილის სახელობის საჩოგბურთო აკადემია გახსნა. "ეს ფანტასტიკური პროექტია. იგეგმება კაროლინ ვოზნიაცკის სახელობის გლობალური საჩოგბურთო აკადემიის გახსნა, რომლშიც რომან აბრამოვიჩი და ჩემთვის უცნობი არაბი შეიხი აპირებენ ინვესტიციების ჩადებას. ამ აკადემიაში ისწავლიან ბავშვები მთელი მსოფლიოდან", - ამბობს პეტრა კვიტოვას ფიტნეს მწვრთნელი, რომელსაც კაროლინის მამამ თავისი ბიზნეს-პროექტი გააცნო.

ჯერჯერობით კი Wozniacki Tennis Academy მხოლოდ დანიაში მუშაობს და ამ აკადემიაში წლიური აბონემენტი 6 000 დოლარი ღირს.

თავად კარომ კი შარაპოვასა და დეები უილიამსების გზა განაგრძო და დიზანში ცდის ბედს, ოღონდ ვოზნიაცკი კაბებითა და აქსესუარებით არ დაინტერესებულა, პირდაპირ საცვლებზე გადავიდა.

დანიელ ნესტორი

სულ მალე დანიელს 40 წელი შეუსრულდება, თუმცა, კარიერის დამთავრებას ჯერ არ აპირებს. მაქს მირნისთან ერთად ის წყვილთა რეიტინგის სათავეშია. ჩოგბურთთან ერთად დანიელი ღვინის წარმოებით არის გატაცებული.

"უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში კანადის ღვინის მრეწველობა უმაღლეს დონეზე გავიდა. ამიტომაც გადავწყვიტე, ნიაგარის ღვინოების საკუთარი ბრენდი ჩამომესხა", - ამბობს ჩოგბურთელი. მისმა ღვინოებმა Daniel Nestror's და Match Point სპეციალისტების დადებითი შეფასება დაიმსახურეს და თითო ბოთლი 12.99 დოლარად იყიდება.

როჯერ ფედერერი

2005 წლის ბოლოს მაღაზიებში გამოჩნდა მამაკაცის კოსმეტიკის როჯერ ფედერერის ბრენდი. ინტერნეტში ხუმრობდნენ, რომ წვერის საპარსი საშუალება, ლოსიონი და დეზოდორანტი დაგეხმარებოდათ გეთამაშათ ისე, როგორც თამაშობს მაესტრო. თუმცა, შვეიცარიელი ჩოგბურთელის ეს წამოწყება არც ისე წარმატებული გამოდგა. მისი ბიზნესი 2009 წელს დაიხურა, თუმცა, ზოგიერთები როჯერის ბრენდის კოსმეტიკით დღემდე სარგებლობენ. მოკლედ, რკინის შვეიცარიელი გაცილებით უკეთესი ჩოგბურთელია, ვიდრე ბიზნესმენი.

სტუმრად ლონდონელ თამადასთან

გიგა გურასაშვილი

კომპანია Tamada Foods ქართული სამზარეულოს მზა კერძებით ამარაგებს ლონდონის სუპერმარკეტებს

ჯერ რესტორანი გახსნეს და "თამადა" უწოდეს. ამით ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ მისი სტუმარი ქართულ კულინარიულ სამყაროში აღმოჩნდებოდა. ლონდონში ცოტამ იცის ქართული სამზარეულოს გემო და ის, თუ რას ნიშნავს თამადა, მაგრამ თამამ მარკეტინგულ გათვლაზე უარი მაინც არ უთქვამთ.

ლონდონის ოლიმპიური თამაშებისას ინტერესი მკლავდა. ვეძებდი რამე ქართულს, მაგრამ ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინე "ბორჯომის", თელავის "მარანისა" და გერმანიაში დამზადებული სულუგუნის გარდა, ისიც რუსულ და ლიტვურ მაღაზიებში. ყველაზე ქართული, რასაც ლონდონში ნახავთ, ეს ჩვენებური რესტორნებია. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ასეთი ხუთი ყოფილა, მათ შორის ლონდონის ჩრდილო-დასავლეთით, 122 Boundary Road-ზე, პატარა და კოხტა რესტორანი "თამადა".

რესტორნის მეპატრონეებსა და ამავე დროს ჩვენს მასპინძლებს თამარ ლორთქიფანიძესა და ზურაბ კოკორაშვილს არაერთი კითხვა დავუსვით. გვაინტერესებდა, უფრო სადაურები მოდიან ქართულ რესტორანში და ძირითადად რას უკვეთავენ.

ერთგვარ რეიტინგში მოწინავეთა შორის აღმოჩნდნენ რუსები, მერე სხვა დანარჩენი ყოფილი საბჭოელები, რომლებმაც მილიონები იშოვეს და ახლა ალბიონზე, ვილებში ცხოვრობენ. ქართული რესტორანიც ლონდონის ერთ-ერთ ასეთ პრესტიჟულ უბანშია და, სიტისგან (ცენტრი) განსხვავებით, ბევრად უფრო ლონდონურია.

თამარ ლორთქიფანიძე ამბობს, რომ რუსებისთვის ქართული სამზარეულო ნაცნობია და იციან მისი გემო. ხშირად უკვეთავენ მაგიდას ან მხოლოდ კერძებს და თან მიაქვთ (Takeaway). ინგლისელებიც ხშირად სტუმრობენ "თამადას" და მრავალფეროვანი მენიუდან უპირატესობას ანიჭებენ ჩაქაფულს. ძალიან მოსწონთ ნიგვზიანი ბადრიჯანი, ხაჭაპური და ხინკალი, თუმცა, ცომეულს უფრო არიდებენ თავს. მენიუ ისეა შედგენილი, რომ ინგლისელისთვის უფრო გასაგები იყოს. საკუთარ სახელს ახლავს განმარტება ანუ შემადგენლობა.

სასმელებიდან უფრო თეთრ ღვინოს მიირთმევენ, ნითელი ღვინოებიდან კი საფერავს ანიჭებენ უპირატესობას. ინგლისელებს განსაკუთრებით მშრალი ღვინოები მოსწონთ.

შეიძლება ითქვას, რომ "თამადა" და მისი დიასახლისი საქართველოს ერთგვარი ელჩები არიან, რომლებიც ლონდონელებს ამ კუთხით აცნობენ საქართველოს, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რა საქმესაც ახლა შეეჭიდნენ - ქართული სამზარეულოს ნახევარფაბრიკატებად გატანა დაიწყეს სუპერმარკეტებში.

"რესტორან "თამადას" ბაზაზე შევქმენით კომპანია Tamada Foods, რომელიც აწარმოებს ქართული სამზარეულოს მზა კერძებს და რეალიზაციასაც უკეთებს ლონდონის Budgens-ის სუპერმარკეტებში. პირველი პროდუქცია - ხუთი სახის წვნიანი: ჩიხირთმა, ხარჩო, ლობიო, ბორში და ბოსტნეულის ქსელში 2012 წლის დასაწყისში გავუშვით, - გვეუბნება თამარ ლორთქიფანიძე. - ქართული სამზარეულო უკვე საკმაოდ პოპულარულია ლონდონში. ამიტომ გადავწყვიტეთ, სექტემბრის ბოლოს კიდევ სამი პროდუქცია (ნიგვზიანი ლობიო, ბადრიჯანი და ისპანახი) შევიტანოთ ამავე სუპერმარკეტებში. მხოლოდ ოთხი მარკეტი ავითვისეთ, რადგან ჯერჯერობით წარმოება მეტის საშუალებას არ გვაძლევს. გაისად, გაზაფხულზე, კიდევ სამი სახის პროდუქტს შევმატებთ ინგლისის ბაზარს (ჩახოხბილი, ჩაშუშული და ჩაქაფული). ასე გავაგრძელებთ მანამ, სანამ არ მოვიცავთ ქართული სამზარეულოს უდიდეს და მნიშვნელოვან ნაწილს".

ამჟამად კომპანია Tamada Foods-ს მოლაპარაკებები აქვს ინგლისის ორ უდიდეს სუპერმარკეტთან - Marks & Spencer და Waitrose-თან, რომლებიც დაინტერესებული არიან მათი პროდუქციით. მართალია, მათთან თანამშრომლობის ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ლოდინი ამად ღირს, რადგან მთელ ინგლისში შეძლებენ Tamada Foods-ის პროდუქციის რეალიზებას.

კომპანიის წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციასაც ცდილობენ - მათი ყველა პროდუქტის კონტეინერი გაფორმებულია ფიროსმანის ილუსტრაციებით, შიდა მხარეს კი მოკლე ანოტაციაა თავად ფიროსმანსა და ქართულ სამზარეულოზე.

Thank You For Dining At Tamada!

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები

შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge